ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

ელექტორნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

Legal nature of the electronic contract

ავტორი:

სალომე გოცირიძე

ხელმძღვანელი :

თამარ ლაკერბაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლა

თბილისი 15 ივლისი 2019

სარჩევი

სარჩევი 2

შემოკლებანი 4

I შესავალი 6

II ელექტრონული ვაჭრობა 9

III ელექტრონული ხელშეკრულებები 11

1. ელექტრონული ხელშეკრულების წარმოშობა და დეფინიცია 11

2.ელ ხელშეკრულების სახეები 15

2.1 ხელშეკრულების დადება ელ.ფოსტის მეშვეობით 15

2.2 ხელშეკრულების დადება ვებ-გვერდის გამოყენებით 18

2.3 ელ ხელშეკრულების სამი ძირითადი ტიპი 20

2.3.1 Click Wrap 20

2.3.2 Shrink Wrap 22

2.3.3 Browse Wrap 23

2.4 ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა 24

2.4.1 ხელშეკრულების წერილობით ფორმის უზრუნველმყოფი ინსტრუმენტები 26

ა) დოკუმენტი 27

ბ) ხელმოწერა 28

გ) ელ ხელმოწერა და ელ დოკუმენტი 29

გგ) ელექტრონული ხელმოწერა 29

2.5 გარიგების ელექტრონული ფორმა სსკ-სა და გსკ-ს მიხედვით 34

2.5.1 ტექსტური ფორმა გსკ-ის მიხედვით 37

IV გამოსაყენებელი სამართლის არჩევა 40

3.საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრა 41

V მომხმარებელთა უფლების დაცვალ ელ ვაჭრობაში 45

ა) მომხმარებელი 45

ბ) მიმწოდებელი 45

4. 1 დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების რეგულირება ევროპის სახელშეკრულებო სამართალში..... 47

4.2 საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა მომხმარებელთა უფლებების დაცვისას..... 49

4.2.1. UNIDROIT..... 49

4.2.2. Principles of European Contract Law (PECL) 50

4.2.3 Organization for Economic Cooperation and Development (OECD) 51

4.2.4 European Commission (EC) 51

VI დასკვნა: 52

ბიბლიოგრაფია ..... **Error! Bookmark not defined.**

შემოკლებანი

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
გსკ.	გერმანიის სამოქალოქო კოდექსი
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სკს	საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
შეად.	შეადარეთ
B2B	Business to Business
B2C	Business to Cosnsumer
EC	European Commission
EU	European Union

IM	Instant Messaging
p.	page
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law

I შესავალი

21-ე საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიების როლი დღითიდღე იზრდება . ყველასათვის ცნობილია რომ კომპიუტერი კაცობრიობის უდიდესი გამოგონებაა. ინტერნეტი მიეკუთვნება კაცობრიობის ტექნოლოგიური აღმოჩენების იმ მცირე რიგს, რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს არა მარტო ეკონომიკური წყობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებაც. თანამედროვე მსოფლიოში ინტერნეტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ინტერნეტი ცვლის მთელ რიგ მოვლენებს: იმას, თუ როგორ ვმუშაობთ, ვამყარებთ ახალ კავშირებს, ვქმნით და ვცვლით ინფორმაციას. ძნელია გავიხსენოთ ისეთი გამოგონება კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მასზე დამოკიდებულებით ინტერნეტს შეედრება. ინტერნეტის განვითარებამ განაპირობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდა. ქსელური გაერთიანება მკვეთრად გარდაქმნის როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ელექტრონული ბიზნესი საშუალებას აძლევს კომპანიებს მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების ხარჯზე. ინტერნეტი მეწარმეებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ მომხმარებლებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და ამით შექმნან ღია ბაზარი, რომელიც მაღალი შემოსავლის წყარო ხდება.[1]

ინტერნეტის შექმნამ და გავრცელებამ მსოფლიოს მასშტაბით სრულიად შეცვალა ადამიანთა ყოველდღიურობა, კომუნიკაცია, ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე,

[1] სურმანიძე ზ., ინტერნეტ ეკონომიკის როლი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, 2018

მასშტაბები, ბიზნესის წარმოების პრაქტიკა. თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკამ განვითარების მნიშვნელოვნად მაღალ დონეს მიაღწია. შესაბამისად, გაიზარდა საქონელზე მოთხოვნა, ხოლო დაჩქარდა მიწოდების ტემპები. ყოველივე ამან განაპირობა ელექტრონული ვაჭრობის აღმოცენება და განვითარება, რომელშიც უდიდესი წვლილი შეიტანა საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, ინტერნეტის გავრცელებამ. სამეწარმეო საქმიანობა მთლიანად საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, ელექტრონულ ვაჭრობასთან ან ელექტრონულ მომსახურებასთან არის დაკავშირებული[2]. სოციალური ქსელების, ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული მომსახურების, ონლაინ სათამაშო ბიზნესისა და სხვა ინტერნეტ საშუალებების განვითარება განაპირობებს ახალი ტიპის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.[3] ინტერნეტის გავრცელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალიზაციის პროცესში. ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობები და დადებული გარიგებები, როგორც წესი, არის საერთაშორისო ხასიათის[4], რადგან ურთიერთობაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყანის მცხოვრები პირები და სხვადასხვა ქვეყანაში რეზიდენციის მქონე იურიდიული პირები.[5]

დღესდღეობით ნებისმიერი სახის მომსახურების ელექტრონულად შესყიდვა აღარ წარმოადგენს სიახლეს, და უკვე იქცა საერთაშორისო ბიზნესის დამახასიათებლად. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია ახალი სამართლებრივი მოვლენების წარმოშობასთან. ამან განაპირობა გარიგების ელექტრონული მოწესრიგების აუცილებლობა, რადგან ეს უკანასკნელი სამოქალაქო ბრუნვის განუყოფელი ნაწილი გახდა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ელ ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება. თემის მიზნისათვის მნიშვნელოვანია რომ ელ ხელშეკრულებებში

---

[2] K. L. James,The Internet: A User's Guide, Eastern Economy edition, 2003, 208

[3] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული
ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი N1. გვ

[4] J. Basedow, T. Kono, Legal Aspects of Globalisation: Conflicts of Laws, Internet, Capital Markets and insolvency in a Global Economy, Kluwer Law International, 2000, 1-2

[5] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული
ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი N1. გვ

მოვიაზროთ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ელექტრონულად მიღწეული შეთანხმება. ნაშრომის პირველ ნაწილს შესავალი წარმოადგენს, ამდენად ყურადღება გამახვილდება მეორე ნაწილზე.

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის პროცესში სულ უფრო იზრდება უცხოურ კომპანიებთან სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობის ინტერესი. ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. სწორედ ამიტომ თითოეული სახელმწიფო მიისწრაფვის, შეუქმნას მეწარმეებს სათანადო პირობები საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში, უპირველეს ყოვლისა კი, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობისათვის, რომელიც ელექტრონული ვაჭრობას ეხება.[6] შესაბამისად ნაშრომის მეორე ნაწილი სწორედ ელ ვაჭრობას ეხება. ნაშრომის მესამე ნაწილი ეხება ელ ფოსტისა და ვებ გვერდის გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებს , აქვე განხილულია ელ ხელშეკრულების ფორმა და ფორმის უზრუნველმყოფი ინსტურმენტები. მესამე ნაწილშივეა წარმოდგენილია ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საკითხები როგორც კონტინენტური ევროპის, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დირექტივები და სახელმძღვანელო პრინციპები. აქვე განხილულია გარიგების ტექსური ფორმა რომელსაც გსკ იცნობს. ნაშრომის მეოთხე ნაწილი ელ ხელშეკრულების დროს დავის წარმოშობის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლისა და განმხილველი სასამართლოს ეხება . ხოლო მეხუთე ნაწილი ეთმობა მომხმარებლის უფლებების დაცვის სხვადასხვა მექანიზმებს ელექტრონულ ვაჭრობაში, ნაშრომის დასკვნაში შეჯამებულია ის შედეგები, რომლებიც თემაზე მუშაობისას იქნა მიღებული და რამაც ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულების, როგორც ქართული, ასევე უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე განხილვისას წინა პლანზე წამოიწია.
ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია ანალიტიკური, ლოგიკური და შედარებით- სამართლებრივი კვლევის მეთოდები. ასევე, ნაშრომში გამოყენებულია შესაბამის სფეროში არსებული, როგორც ქართული, ისე

[6] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა),
ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 112

უცხოურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, გაანალიზებულია უცხო ქვეყნის ნორმატიული აქტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტები.

II ელექტრონული ვაჭრობა

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა ვაჭრობის ტრადიციაში. ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არნახულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებთან და ვაჭრობის წესებთან. [7] პირველი ელექტრონული ვაჭრობის ჩანასახები 1994-1997 წლებში ჩნდება. ამ დროისათვის უამრავმა მეწარმე სუბიექტმა შექმნა ვებ-გვერდები ინტერნეტში, თუმცა, ელექტრონული ვაჭრობის შესაძლებლობა მათ ჯერ არ გააჩნდათ (ისე, როგორც ეს დღს შესაძლებელია, მაგ., amazon.com-ის ან ebay.com-ის მეშვეობით). 1997-2000 წლებში შესაძლებელი გახდა პირველი ელექტრონული ტრანზაქციის განხორციელება და, შესაბამისად, ახალი ათასწლეულიდან ელექტრონული კომერცია ვაჭრობის ჩვეულებრივ საშუალებად იქცა. [8] შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ურთიერთობის ეს სახე დროსა და სივრცეში საქონლისა და მომსახურების შეთავაზების გამარტივებულ საშუალებად ითვლება. ის ქმნის სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების უნიკალურ შესაძლებლობას ხელშეკრულების ორივე მხარისათვის. საშუალება განსაკუთრებით კომფორტულია

[7] Katz, A. W., Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age, <http://www.columbia.edu/~ak472/papers/Electronic%20Contracting.pdf>, [12.03.2014]; Winn, J., Haubold, J., Electronic Promises: Contract Law Reform and EContracts in Comparative Perspective, European Law Review, 27, 2002, 568-569, <http://www.Law.washington.edu/ Directory/docs/Winn/Electronic_Promises_Revised.pdf >, [11.05.2014].

[8] Anagnostopoulou, D., დასახ. ნაშრომი, მე-5 სქ

მომხმარებლებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად დაიკმაყოფილონ თავიანთი ინტერესები.[9] თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში ელექტრონული ვაჭრობა – ესაა ტექნოლოგიური, ეკონომიკური, საფინანსო და იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობა.[10] „ელექტრონული ვაჭრობა“, იურიდიული მნიშვნელობით, არის ელექტრონული ფორმით სხვადასხვა გარიგების დადება, პირველ ყოვლისა, სამეწარმეო სფეროში, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე.[11] ამდენად, ელექტრონული კომერცია არის საქმიანობა საქონლის რეალიზაციის, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისას ღია კომპიუტერული ქსელების გამოყენებით.[12]

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ელექტრონული ვაჭრობა, როგორც განყენებული ცნება, არ არსებობს. ევროკავშირში, ევროპული ინიციატივა ელექტრონულ კომერციას აღწერს შემდეგნაირად:

„ ბიზნეს გარიგების ნებისმიერი ფორმა სადაც მხარეები ურთიერთქმედებენ ელექტრონულად, და არა ფიზიკურად. ეს ძირითადად მოიცავს ორ სახეობას. ერთი არის საქონლის ელექტრონული შეკვეთა რომლის მიტანაც ხდება ფიზიკურად ტრადიციული მეთოდით, როგორიცაა საფოსტო სერვისები და კურიერები. მეორე არის პირდაპირი ელექტრონული კომერცია, მათ შორის ონლაინ შეკვეთა, არამატერიალური საქონელი და მომსახურება, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამა, გასართობი ან საინფორმაციო მომსახურება გლობალურ დონეზე.[13]“

---

[9] Loos, M., Helberger, N., Guibaut, L., Pessers, L., Digital Content Contracts for Consumers, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No. 2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, 2-5; Twigg-Flesner, Ch., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer, New-York, 2012, 7.

[10] Соловяненко, Правовое регулирование електронной торговли и електронной подписи (международный опыт и российская практика) Хозяйство и правоб 2003б No.1,27.

[11] იხ.: იქვე.

[12] იხ.: http:// www.russianlaw.net/law/doc/a119.

[13] Convention of 30 June 2005 Choice of Court Agreements (the Hague Convention), the Hague, available at http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions. text&cid=98 (last visited on 18 June 2009).

ელექტრონულ ვაჭრობას (e-commerce)[14] აქვს პოტენციალი იყოს საუკუნის უდიდესი ეკონომიკური მოვლენა. ეს არის მსოფლიოში ყველაზე მზარდი კომერციული ბაზარი, რომლის განვითარების ზრდის მაჩვენებლებიც უპრეცედენტოა. მაგალითისთვის საცალო გაყიდვებმა ელექტრონულ ვაჭრობაში 2018 წელს 2842 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ეს ციფრი 2021 წლისთვის გაორმაგდება.[15] ვაჭრობის ასეთი ფართო მასშტაბებით განვითარების საფუძველს სწორედ ელექტრონულად ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა წარმოადგენს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ზრდამ ხელი შეუწყო ხელშეკრულებების ელექტრონულად გამოყენებას. ამას განაპირობებს ელექტრონული კონტრაჰირების ორი ძირითადი მახასიათებელი: სისწრაფე და ავტომატიზაცია. ინტერნეტი [16] ამ ორი კომპონენტის საუკეთესო გამოვლინებაა, სადაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩაბმა ღილაკზე ერთი დაჭერით არის შესაძლებელი.[17]

III ელექტრონული ხელშეკრულებები

1. ელექტრონული ხელშეკრულების წარმოშობა და დეფინიცია

თანამედროვე ეპოქის განვითარება პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიის განვი-თარებასთან. აღნიშნულის საფუძველზე, საერთაშორისო დონეზე ვაჭრობა

[14] Wigand Rolf T., Electronic Commerce: Definition, Theory, and Context, The Information Society 13:1-16, 1997, p. 1;

[15] სტატისტიკა ხელმისაწვდომია: https://www.statista.com/statistics/379046/worldwide-retail-e-commerce-sales/ [07.07.18]

[16] კომპიუტერული ქსელებისა და მრიცხველების გლობალური, ურთიერთდაკავშირებული სისტემა.
ერქვანია თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის
სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი, N3(30)11, გვ. 48.

[17] სოფრომაძე ა., ვებგვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება,2018,გვ 6.

ძალიან სწრაფად განვითარდა. მოიშალა საზღვრები სხვადასხვა ტერიტორიაზე მყოფ პირ-თათვის და დადგა ტექნოლოგიური პროცესების სამართლებრივად მოწესრიგების საჭიროება; [18] შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიურმა წინსვლამ საზოგადოება განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა, რის საფუძველზეც გაამარტივა ისეთი სა- კითხები, როგორებიცაა: კომუნიკაცია, დოკუმენტების გაცნობა[19]და სხვ. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია ელ ხელშეკრულებების არსეობობასთან. ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა მოახდინა როგორც მომხმარებელთა ცნობიერებაზე, ასევე მეწარმეებზეც, რომლებიც კონტრაჰენტებთან პირისპირ კომუნიკაციიდან თანდათან გადავიდნენ დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებზე.[20]ამასთან, დისტანციურ კომუნიკაციაში იგულისხმება ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც არ უკავშირდება მხარეთა პირდაპირ ურთიერთობას. საუბარია ხელშეკრულებაზე, რომელიც იდება ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, კატალოგების, ან ინტერნეტის გამოყენებით.[21] დღეისათვის დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებულ ფორმად ელექტრონული კომერცია ითვლება, რომლის პირველი ჩანასახი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1958 წელს გაჩნდა.[22] მიუხედავად იმისა რომ ცნება ელ ხელშეკრულება იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება[23] მისი ლეგალური ერთმნიშვნელოვანი

---

[18] *Karkoszka A.,* Die Auswirkungen der technologischen Entwicklung auf die europäische Sicherheit und Zusammenarbeit, Zeitschrift für interlationale Politik, Europa Archiv, Verlag für internationale Politik GmbH, Bonn, 1987, 590.

[19] დოკუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით, რომელიც ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ხორციელდება, ასევე, ინფორმაციის მიღების თაობაზე (თუნდაც სამართლებრივი ლიტერატურის, ხელშეკრულების და სხვ.) იხილეთ: *Katsh M. E.,* Law in a Digital World, Oxford University Press, New York, 1995, 120-121.

[20] Working Document of the Commission, Responses to the Consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises Summary of Responses, <http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepsellin g_responses.pdf>, [27.04.2014].

[21] 4 Stone, R., The Modern Law of Contract, fifth edition, Cavendish Publishing limited, Portland, Oregon, USA, 2002, 64

[22] Anagnostopoulou, D., E-commerce in International and European Union Law: The Policy of the European Union on Digital Agenda and Strategy 2020, <http://afroditi.uom.gr/jmc/wp-content/uploads/2013/06/Research-Essay-No-11.pdf>,[08.05.2014].

[23] იხ.: Nowak,Ulrich, Der elektronische Vertag- Zustandekommen unda Wirksamkeit unter Berucksichtigung des neuen ,,Formforschriftenanpassungsgesetzes", in : MDR 2001. გვ. 841.

კანონისმიერი დეფინიცია არ არსებობს.[24] ელექტრონული კონტრაქტის ტრადიციული დეფინიცია არ შეიძლება გავავრცელოთ ელ- ხელშეკრულებაზე, რადგან ელ-ხელშეკრულების სფერო ტრადიციულ ხელშეკრულების სფეროსთან შედარებით უფრო ფართოა. მარტივად რომ ვთქვათ ელ-ხელშეკრულება არის შეთანხმება რომელიც იდება კომპეტენტური მხარეების მიერ ინტერნეტის მეშვეობით. ელექტრონული ხელშეკრულება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ[25]:

ელექტრონული კონტრაქტი არის ხელშეკრულების სახეობა, სადაც მხარეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ელექტრონულ საშუალებებით, როგორიცაა ელ-ფოსტა, ელექტრონული აგენტი, კომპიუტერული პროგრამა ან ორი ელექტრონული აგენტი, რომელიც დაპროგრამებულია ხელშეკრულების არსებობის აღიარების პროგრამით. ICC ეხება "ელექტრონულ კონტრაქტს", როგორც "კონტრაქტების გაფორმების ავტომატური პროცესს კომპიუტერების მეშვეობით, იქნება ეს ქსელიდან თუ ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით". [26]ეს განსაზღვრება წარმოადგენს ცალკეული განმარტებების ერთობლიობას. რომელსაც შეიცავს გაეროს კონვენცია [27] "ელექტრონული კომუნიკაციის განსაზღვრება" აღებულია გაეროს კონვენციიდან ხოლო ავტომატური ტრანზაქციები - UETA- ს და UCITA- სგან. ელექტრონული კომუნიკაცია "ნიშნავს" ნებისმიერ კომუნიკაციას რომელიც მხარეებს მონაცემთა ბაზების მეშვეობით ქმნიან" [28] " ავტომატური ტრანზაქციები "გულისხმობს ნებისმიერი ტრანზაქციის შესრულებას, მთლიანად ან ნაწილობრივ ელექტრონულად ან ელექტრონული ჩანაწერების საშუალებით.

---

[24] Uhlman, Andre Marc, Elektronische Vertage aus deutscher, europaischer und US –amerkanischer Sicht, Europaischer Verlag der Wissenschaften-Peter Lsng GmbH, Frankfurt am Main 2003. გვ. 35.

[25] US Legal definations, available at http:// definitions.uslegal.com/e/e-contract/last visited on 28 November, 2012

[26] General Usage for International Digitally Ensured Commerce (GUIDEC) Version II, International Chamber of Commerce (ICC), available at www. iccwbo.org (last visited on 1 October 2005).

[27] United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts, 2005, A/RES/60/21, available at http://daccessdds.un.org/doc/ UNDOC/GEN/N05/488/80/PDF/N0548880.pdf?OpenElement (last visited on 10 June 2007).

[28] Article 4(b) of the UN Convention.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მსგავსად უცხოურისა ელექტრონული ხელშეკრულების ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არსებობს. ზოგადი მიდგომით მასში მოიაზრება ორი ან მეტი პირის მიერ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ელექტრონულად მიღწეული შეთანხმება. ფაქტია ტრადიციული გაგებით ქაღალდზე შესრულებული ხელშეკრულება განსხვავდება ელექტრონული ხელშეკრულებისგან, რომელიც სრულად პროგრამული სისტემის მეშვეობით მოდელირდება და კონტროლდება. შესაბამისად, ეს სხვაობა მოითხოვს ტრადიციულისგან განსხვავებულ რეგულირებასაც. ადამიანებს შორის ელექტრონული კომუნიკაცია უამრავი ფორმით შეიძლება განხორციელდეს, მაგ.: ელექტრონული ფოსტა (E-Mail), Chatroom,[29] ინტრანეტი,[30]Instant Messaging (IM),[31] მობილური ტელეფონი, ტექსტური შეტყობინებები, ფაქსი, ვებგვერდი და სხვ. ჩამოთვლილი ფორმების მეშვეობით თავისთავად შესაძლებელია გარიგების დადებაც.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატა ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებას განმარტავს, როგორც მხარეებს შორის

[29] ტექნოლოგიის გამოყენებით ადამიანებს შორის რეალურ დროში მიმდინარე სინქრონული კონფერენცია კონკრეტული თემის ირგვლივ. Chatroom შეიძლება იყოს უშუალოდ ვებგვერდი ან იყოს ვებგვერდის ერთ- ერთი ნაწილი.

[30] ინტრანეტი იმიჯნება კერძო მწარმოებლებისა და ე.წ. სერვის-პროვაიდერების (Service Provider) მიერ
მართული და ფინანსირებული ქსელური კომპიუტერული სისტემებისაგან, რომლებიც შესაბამისი ფარული კოდის (Pass-Word) გარეშე მიუწვდომელია ნებისმიერი მესამე პირისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ქსელური კომპიუტერული სისტემის ფარგლებში, ხელმისაწვდომია ინტერნეტიც. „ინტრანეტში“ იგულისხმება კომპიუტერული ქსელური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ე.წ. ინტერნეტ-პროტოკოლის გამოყენებით - IP (Internet Protocol), თუმცა ნაკლები მოცულობით ან საერთოდ არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან. „ინტრანეტში“ არსებობს ინტერნეტის მხოლოდ კონკრეტულ, შერჩეულ წყაროებთან დაკავშირების შესაძლებლობა. მისი უპირატესობა, ინტერნეტთან შედარებით, არის ის, რომ „ინტრანეტი“ დაცულია გარე-ზემოქმედებისაგან: ხელმისაწვდომია მხოლოდ ამ სისტემასთან ქსელური კავშირის მქონე მომხმარებლისათვის. ერქვანია თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და კანონი, N3(30)11, გვ. 59.

[31] ელექტრონული სასაუბრო ტექნოლოგია, რომელიც ინტერნეტით რეალურ დროში ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის საშუალებას იძლევა.

კომპიუტერების მეშვეობით ქსელურად ან ელექტრონული გზავნილების საშუალებით ხელშეკრულების დადების ავტომატურ პროცესს.[32]

2.ელ ხელშეკრულების სახეები

არსებობს ელექტრონული ხელშეკრულების დადების სამი ფორმა. ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენს ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტა შესაძლებელია, გამოყენებული იქნას როგორც ოფერტის, ასევე აქცეპტის გასაგზავნად. ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებების მეორე სახეა (ინტერნეტი) გლობალური ქსელის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები. ასეთ შემთხვევაში მეწარმე თავის ვებ-გვერდზე მიუთითებს საქონლის კატალოგს და ინფორმაციას მისი მახასიათებლებისა და ღირებულების შესახებ. მომხმარებელი ვებ-გვერდის დათვალიერების შედეგად ირჩევს მისთვის სასურველ საქონელს და ხელშეკრულების პირობებზე დათანხმებით ყიდულობს მას. ელექტრონული კომერციის მესამე ფორმაა ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა პირობებიც მეწარმეთა ვებ-გვერდზე მოცემულია დამაკავშირებელი ბმულის მეშვეობით, ე.წ. გადამამისამართებელი ხელშეკრულებები. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს უწევს რამდენიმე კომპლექსური ან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელშეკრულების პირობებზე დათანხმება სასურველი საქონლის ყიდვის მიზნით.[33]

2.1 ხელშეკრულების დადება ელ.ფოსტის მეშვეობით

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ელექტრონულ ვაჭრობაში ხელშეკრულების დადების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხელშეკრულების დადება ელ.ფოსტის, ვებ-

---

[32] International Chamber of Commerce (ICC), General Usage for International Digitally Ensured Commerce (GUIDEC), Version II, <www.iccwbo.org>.

[33] Wang, F.F., დასახ. ნაშრომი, მე-9 სქ., 34; Nimmer, R. T., The Legal Landscape of E-commerce: Redefining Contract Law in an Information Era, Journal of Contract Law Conference, Contract and the Commercialization of Intellectual Property, Singapore Academy of Law and Singapore Management University, 2006, 15.

გვერდზე ფორმულარის შევსებით ან თანხმობის ღილაკის დაჭერით.[34] ელ-ფოსტის საშუალებით ხელშეკრულების დადება თავსდება სსკ-ის 328-ე მუხლის მე-2 ნაწილით[35] და გსკ-ის §127 II, ალტ.1-ის რეგულირების სფეროში, რადგან ადგილი აქვს წერილების ურთიერთგაცვლას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.ელექტრონული ფოსტა შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი ფოსტის ციფრული ანალოგი, როცა გადაცემის დროს ინფორმაცია არ ინარჩუნებს თავის სახეს, ანუ ასოთა, ციფრების და სხვა სიმბოლოთა ერთობლიობას და ხდება მისი ტრანსფორმაცია მონაცემთა (ციფრთა) ერთობლიობად, შემდგომში კი ხდება მისი გაშიფვრა,[36] რის შემდეგაც იგი იღებს აღსაქმელ ფორმას. ყოველივე აღნიშნული ხდება დროის მეტად მცირე მონაკვეთში. ამდენად, უდავოა, რომ ელექტრონული ფოსტა ჩვეულებრივ ფოსტაზე გაცილებით სწრაფია. მეტად საინტერესოა და იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგანია საკითხი, თუ როდიდან ითვლება დადებულად ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დადებული ხელშეკრულება.

სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამიტომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდიდან ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად.[37]როგორც ცნობილია, ხელშეკრულება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ოფერტი მიღებული იქნება აქცეპტანტის მიერ. ეს დებულება გავრცელებულია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში. რაც შეეხება ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებს, იქ ცნობილია ე.წ. "საფოსტო ყუთის" თეორია, რომლის თანახმადაც, თუ ოფერტი და აქცეპტი გაგზავნილი და მიღებული უნდა იქნეს ფოსტის მეშვეობით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება აქცეპტის გაგზავნის მომენტში.[38] ამ ორი სამართლებრივი სისტემის ქყვეყანას შორის ასეთი განსხვავება ჩეულებრივი

---

[34] Rossnagel, Pfitzmann, NJW 56/17, 2003, S.1209;

[35] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 118-120;

[36] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 118

[37] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე,ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, 89

[38] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 120

საფოსტო მომსახურების პირობებში პრაქტიკაში ხშირად ბადებდა პრობლემებს. ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრამ სულ სხვა დატვირთვა შეიძინა ელექტრონული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტით გაგზავნისა და მიღების დროს, რადგან მონაცემთა გაცვლა უმოკლეს ვადაში გახდა შესაძლებელი. ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრის საკითხის კვლევამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. მეტად გართულდა იმის დადგენა, თუ როდის უნდა ჩაითვალოს შეტყობინება გაგზავნილად თუ მიღებულად.

პასუხს ამ კითხვაზე იძლევა UNCITRAL -ის მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ"(მე-15 მუხლი), რომლის თანახმადაც, თუ შემდგენელი და ადრესატი არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, მონაცემთა შეტყობინების შესრულება ხდება იმ მომენტში, როცა იგი ხვდება შემდგენელის ან მისი სახელით მონაცემთა გამგზავნის კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული შეტყობინება ითვლება გაგზავნილად და გაგზავნის დროდ ფიქსირდება მომენტი, როდესაც ჩანაწერი შედის საინფორმაციო სისტემაში, რომელსაც არ აკონტროლებს შეტყობინების ავტორი, ან პირი, რომელმაც გააგზავნა ელექტრონული შეტყობინება ავტორის სახელით. აქ შემდგენლის (ავტორის) კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელიც იღებს შეტყობინებას საფოსტო სერვერიდან, რომელზეც იმყოფება შემდგენლის (შეტყობინების ავტორის) საფოსტო ყუთი,[39] ანუ იმ მომენტიდან, როცა საფოსტო პროგრამამ შეტყობინების მიწოდების შემდეგ მოსარგებლეს შეატყობინა, რომ შეტყობინება გაგზავნილია. ელექტრონული ჩანაწერის მიღების დროს მოდელური კანონი ასევე დისპოზიციური ნორმის სახით ადგენს, რომელიც მხარეებს ქცევის წესის თავად განსაზღვრის საშუალებას აძლევს.[40] ამასთან, თუ შემდგენელი და მიმღები არ შეთანხმებულან სხვა რამეზე ელექტრონული ჩანაწერის მიღების დრო განისაზღვრება შემდეგი წესით: თუ ადრესატმა მიუთითა მონაცემთა შეტყობინების მიღების მიზნით საინფორმაციო სისტემა, მიღება ხდება იმ მომენტში, როცა მონაცემთა შეტყობინება შედის მითითებულ საინფორმაციო სისტემაში; თუ მონაცემთა შეტყობინება (ელექტრონული ჩანაწერი) იგზავნება ადრესატის საინფორმაციო სისტემაში,

[39] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 120

[40] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 120-121

რომელიც არ არის წინასწარ განსაზღვრული საინფორმაციო სისტემა, – იმ მომენტში, როცა ადრესატი მონაცემთა შეტყობინებას ამოიღებს სისტემიდან;[41] თუ ადრესატს არ განუსაზღვრავს კონკრეტული საინფორმაციო სისტემა, მაშინ მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ელექტრონული ჩანაწერი შედის ადრესატის რომელიმე საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელზეც იმყოფება მიმღების (ადრესატის) საფოსტო ყუთი, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, yahoo, mail.ru და ა. შ.[42]

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი და მიმღები თანხმდებიან, რომ ელექტრონული შეტყობინების მიღება დაადასტუროს ადრესატმა. დადასტურების ფორმას, ჩვეულებრივ, ასევე განსაზღვრავენ მხარეები. როდესაც ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი განაცხადებს, რომ შეტყობინებას აქვს წინასწარი ხასიათი და დამოკიდებულია დადასტურებაზე, შეტყობინება არ ითვლება მიღებულად დადასტურების მიღებამდე.[43]

2.2 ხელშეკრულების დადება ვებ-გვერდის გამოყენებით

ვებ-გვერდის (საიტის) გამოყენებით ხელშეკრულების დადებას ადგილი აქვს როცა , როცა ესა თუ ის პირი საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას ახორციელებს მათზე ინფორმაციის განთავსებით გრაფიკული, ტექსტური ან ხმოვანი ფორმატით ინტერნეტ-გვერდზე.

ვებ-გვერდის გამოყენებით ხელშეკრულების დადებას, აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მასზე განთავსებული ინფორმაციის იურიდიული ბუნება. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასათვის და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. ხშირად

[41] იხ.:იქვე .

[42] იხ.: იქვე.

[43] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა),
ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 120

ინტერნეტ-წინადადება შეიცავს ხელშეკრულების არა ყველა არსებით პირობას. ასეთ დროს კლიენტი ავსებს ამავე საიტზე განთავსებულ გარკვეულ ფორმას (ფორმულარს), სადაც უთითებს ხელშეკრულების პირობებს, რის შემდეგაც აჭერს თანხმობის ღილაკს. აღიარებული მოსაზრების თანახმად, ვებ-გვერდზე განთავსებული შეთავაზება არის მოწვევა ოფერტზე, თავად ოფერტი კი შევსებული ფორმულარია.[44] ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში აქცეპტი იქნება თანხმობა საიტის საშუალებით მოწვევის გამავრცელებელი პირის მხრიდან, რაც ძალიან სწრაფად ხდება.[45] აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის გარემოება, რომ არსებობს ვებ-გვერდები, რომლებზეც ხელშეკრულების არსებითი პირობები მოცემულია ამომწურავად და ხელშეკრულების დასადებად აბსოლუტურად საკმარისია აქცეპტი ვებ-გვერდზე თანხმობის ღილაკის დაჭერის სახით,[46] ანუ საიტზე ინფორმაციის გამავრცელებლის მხრიდან აღარაა ასეთ დროს საჭირო თანხმობა. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი კლიენტსა და სერვერს შორის წამიერია, რაც ძალიან ემსგავსება პირობითად სატელეფონო კავშირს, რადგან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარემ ყოველთვის იცის ამის შესახებ. ამ ტექნიკური თავისებურებების სამართლებრივი დანიშნულება ისაა, რომ აქცეპტის გამგზავნს შეუძლია განსაზღვროს, მიღებულია თუ არა იგი მაშინვე.[47] გარიგებების დადება ვებ-გვერდების მეშვეობით დროის მეტად მცირე მონაკვეთში ხდება. რამაც სამომხმარებლო ურთიერთობებში ეს ოპერაცია მეტად პოპულარულად აქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირის ქვეყნებში აღნიშნული საკითხების ერთგვაროვანი რეგლამენტაციის მიზნით, 2000 წლის დირექტივით, ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრისას კონცეპტუალური მნიშვნელობა მიენიჭა თანხმობის მიღების დადასტურებას.[48]

---

[44] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 121

[45] Grundlegende rechtliche Instrumente im E-Commerce. http://www.ecc-handel.de/erkenntnisse/1014893004/ - 28.02.2002.

[46] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ121

[47] იხ.: იქვე.

[48] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 122

2.3 ელ ხელშეკრულების სამი ძირითადი ტიპი

მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც ვებგვერდზე მიმდინარეობს, ძირითადად სამ ტიპს გამოყოფენ: Click Wrap, Shrink Wrap და Browse Wrap ხელშეკრულებები. აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებები საყოველთაოდაა გავრცელებული და ისინი, ძირითადად, დამახსიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების პრაქტიკაში, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც, ყოველდღიურად სწორედ უამრავი ასეთი გარიგება იდება.[49]

2.3.1 Click Wrap

Click Wrap ტიპის ხელშეკრულებები ყველაზე ხშირად გავრცელებულია პროგრამული უზრუნველყოფების დაინსტალირებისას[50] და მომსახურების ან პროდუქციის შეძენისას. სხვაგვარად ასეთი ტიპის შეთანხმებები მოიხსენიება, როგორც „click throug“ ან „click wrap license“. დასახელება Click Wrap მომდინარეობს იმ პროცესიდან, რომლითაც მომხმარებელი ვებგვერდზე ავლენს ხელშეკრულების დადების ნებას და სპეციალურ ბრძანებაზე დათანხმებით დებს კიდეც გარიგებას. დათანხმების ბრძანება აქ არსებითია მომენტია და ის შეიძლება გამოიხატოს ტექსტში: „ვეთანხები/თანახმა ვარ“[51] სწორედ ასეთი ტიპის კონტრაჰირებაა ყველაზე მეტად გავრცელებული ვებგვერდზე პროდუქციის შეძენისას. მანამ, ვიდრე მომხმარებელი ვებგვერზე ოფერტს გააკეთებს, მეორე მხარე მას სთავაზობს პირობებს, რომელთა დათანხმების შემდეგაც შესაძლებელი ხდება ხელშეკრულების დადებაზე შეთავაზების გაკეთება. ასეთი ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობა ვებგვერდის მფლობელისთვის მომგებიანია, რადგან ის მომხმარებელს სთავაზობს ისეთი ტიპის სახელშეკრულებო პირობებს, რომელიც მისთვის სასურველია.

Click Wrap ტიპის ხელშეკრულება ორნაირად იდება: პირველი როდესაც მომხმარებელი კლავიატურის ან ღილაკების მეშვეობით კრეფს „ვეთანხმები“-ს ან

---

[49] სოფრომაძე.,ა, ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება გვ 39

[50] პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება ანუ პირი ვებგვერდზე ჯერ ყიდულობს პროგრამულ უზრუნველყოფას, ტვირთავს მას კომპიუტერში და შემდეგ აინსტალირებს.

[51] I agree/I accept

სხვა ისეთ ტექსტს, რომელიც მის მიერ პირობებზე დათანხმებას დაადასტურებს და ამის შემდეგ აჭერს სპციალურ ბრძანებას; მეორე შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელი პირდაპირ დათანხმების ბრძანებაზე დაჭერით ავლენს ნებას. Click Wrap არის „დაეთანხმე ან უარი თქვი"-ს ტიპის ხელშეკრულება, რადგან როგორც ზემოთ ითქვა სახელშეკრულებო პირობებზე მოლაპარაკება ამ დროს პრაქტიკულად გამორიცხულია. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში Click wrap ხელშეკრულება განიხილება, როგორც განხორციელებადი, ანუ სასარჩელო ძალის მქონე კონტრაქტი.[52] ამას უმეტესწილად განაპირობებს ამ ტიპის შეთანხმებების მასობრივად გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. ასეთი შემთხვევაა, როდესაც მეორე მხარეს სურს ვებგვერდის მოხმარების ან/და ამით სარგებლობის პირობები განსაზღვროს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მაგალითად: ელექტრონული საბანკო სექტორი, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, აუქციონი, აზარტული თამაშები, სადისკუსიო ფორუმები,

chatroom, ახალი ამბები და ა.შ. [53] მიუხედავად მრავალი ასეთი შეთანხმებისა, Click Wrap უნდა განვიხილოთ მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის სფეროში,

---

[52] აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Hotmail Corp. v. Van Money Pie, Inc., (N.D. Ca., April 20,
1998): Hotmail (მოსარჩელე) მთელი მსოფლიოს მასშტაბით 10 მილიონამდე მომხმარებლისთვის ახორციელებდა უფასო ელექტრონული ფოსტის (E-mail) სერვისს. აღნიშნული ვებგვერდი Click wrap
ხელშეკრულების საფუძველზე, მომხმარებლებს სთავაზობდა სახელშეკრულებო პირობას, რომ ისინი
შეზღუდულნი იყვნენ ე.წ. სპამების (პრაქტიკულად არასაჭირო ინფორმაცია, მაგ; ელ.ფოსტაზე მასობრივად
დაგზავნილი რეკლამა) და პორნოგრაფიული ტიპის შეტყობინებების გაგზავნაში. გარკვეული დროის
მანძილზე რამდენიმე Hotmail-ის მომხარებელმა დაიწყო სპამების და პორნოგრაფიული ტიპის
შეტყობინებების გაგზავნა. სწორედ ამ მიზეზით Hotmail-მა მომხმარებლებს უჩივლა სახელშეკრულებო
პირობების დარღვევის გამო. სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულად მიიჩნია ე.წ. Click wrap
ხელშეკრულების საფუძველზე დათანხმებული პირობების საფუძვლით, როდესაც მომხმარებელი
„I agree ბრძანებაზე დაჭერით დაეთანხმა შემოთავაზებულ მომსახურების პირობებს. გადაწყვეტილება
ხელმისაწვდომია: http://www.internetlibrary.com/cases/lib_case21.cfm

[53] Gatt A., Electronic Commerce - Click-Wrap Agreements, The Enforceability Of Click-Wrap Agreements, Computer Law & Security Report Vol. 18, no. 6, 2002 p. 406.

მომხმარებელსა და მეწარმე სუბიექტს შორის ვებგვერდზე სასყიდლიანი ხელშეკრულების გაფორმების მიზნებისთვის.

2.3.2 Shrink Wrap

Shrink Wrap ტიპის ხელშეკრულების დასახელება მომდინარეობს უშუალოდ მისი შეფუთვიდან, რომლითაც ესა თუ ის პროდუქტი იფუთება.[54] ანგლო-ამერიკული სამართლით, სწორედ ასეთი შეფუთვის გახსნა ითვლება გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ძალაში შესვლის მომენტად.[55] შესაბამისად, Shrink wrap ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის დროსაც ქართული სამართლის გაგებით ე.წ. აქცეპტი, მომხმარებლის მიერ ხორციელდება უმოქმედობით, არ გააგზავნოს უკან ნაყიდი პროდუქტი გარკვეული დროის განმავლობაში, ვიდრე მას არ ექნება შესაძლებლობა, შეამოწმოს პროდუქტის შესაბამისობა შეფუთვაში არსებული სალიცენზიო შეთანხმების პირობებთან.[56] მიუხედავად ანგლო-ამერიკული მიდგომისა, ქართული სამართლით აქცეპტი, ტრადიციულად, ვებგვერდზე მოწვევის გამავრცელებელი პირის მხრიდან ოფერენტის შეთავაზებაზე თანხმობაში გამოიხატება და არა უშუალოდ ამ თანხმობის შედეგად გაგზვნილი ნივთის მიღებაში. ასევე, Shrink wrap ხელშეკრულების აქცეპტირებას ანგლო- ამერიკული სამართალი პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირებს, რაც ამომწურავი არ

---

[54] სიტყვასიტვით Shrink Wrap ნიშნავს თერმულ შეფუთვას (საქონლის შეფუთვაზე გამჭვირვალე პლასტიკის დამცავი საფარი, რომელიც გათბობის შემდეგ საქონლის შეფუთვაზე ჯდება და მჭიდროდ ეკვრება მას).

[55] იხ. გადაწყვეტილება ProCD, Incorporated, Plaintiff-Appellant, v. Matthew ZEIDENBERG and Silken Mountain Web Services, Inc., Defendants-Appellees, No. 96-1139, Argued May 23, 1996, Decided June 20, 1996.

[56] End User License Agreement (EULA) წარმოადგენს ხელშეკრულებას პროგრამული უზრუნველყოფის
მწარმოებელს ან ნებისმიერ მიმწოდებელსა და ჩვეულებრივ პირს შორის, რომელიც ყიდულობს ამ პროდუქციას. EULA დეტალურად განსაზღვრავს იმ უფლებებსა და შეზღუდვებს, რომლებიც ვრცელდება შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. EULA წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელის მიერ შემძენისთვის მინიჭებულ ამ პროდუქტის გამოყენების ფარგლებს, რომელიც ადგენს: არაავტორიზებული ასლების გადაღების აკრძალვას, პროგრამული უზრუნველყოფის გაქირავების აკრძალვას, პროგრამული უზრუნველყოფის ერთზე მეტ კომპიუტერში გამოყენების აკრძალვას, პროდუქციის საგარანტიო პირობებს და ა.შ.

არის, რადგან Shrink wrap-ით შესაძლოა ნებისმიერი ტიპის ისეთი პროდუქცია იქნეს მიწოდებული, რომელსაც არ გააჩნდეს ლიცენზია.[57]

2.3.3 Browse Wrap

Browse Wrap ხელშეკრულებას ასევე მოიხსენიებენ, როგორც „web wrap" ხელშეკრულებად. Browse Wrap ხელშეკრულების დადებისას მხარეს არ მოეთხოვება, განახორციელოს პოზიტიური მოქმედება, როგორიცაა განსაზღვრულ სიმბოლოზე დაჭერა და აქცეპტის ამ გზით განხორციელება. ხელშეკრულების პირობები ხელმისაწვდომია ელექტრონულად და ვიზიტორი ვებგვერდზე შესვლისას ხსნის ხელშეკრულებას. შესაბამისად, გამყიდველის ან სერვისის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მომხმარებლისთვის წარდგენა სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში ხდება. მომხმარებელი ხელშეკრულების პირობებს ეთანხმება კონკრეტული ქმედების განხორციელებით მაგ.: პროგრამის ჩამოტვირთვა, პროდუქტის შეძენა და ა.შ. Browse wrap ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ სახელშეკრულებო პირობები შესაძლოა პირდაპირ ვებგვერდზე შესვლისას, საწყის გვერდზე არ იყოს მოცემული, არამედ მის გასაცნობად აუცილებელი გახდეს სხვა ელექტრონულ მისამართზე გადასვლა.[58]

---

[57] სოფრომაძე.ა, ვებ-გვე4რდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება, 2018,გვ 42

[58] ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Pollstar v. Gigmania Ltd., (E.D. Cal. 2000): Pollstar (მოსარჩელე) წარმოადგენდა ვებგვერდს, რომელიც ყოველდღიურად აქვეყნებდა
კონცერტებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს. Gigmania (მოპასუხე) წარმოადგენდა იმავე ტიპის საინფორმაციო ვებგვერდს, რომელმაც მოსარჩელის ვებგვერდიდან გაავრცელა ინფორმაცია და საკუთარ გვერდზე განათავსა. მოსარჩელემ სასამართლოში რამდენიმე საფუძვლით იჩივლა, რომელთაგან ერთ-ერთს სალიცენზიო ხელშეკრულების დარღვევა წარმოადგენდა. მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ინფორმაცია, რომელიც მოპასუხემ მოიპარა მოსარჩელის გვერდიდან, არ რეგულირდებოდა 1976 წლის „საავტორო უფლებების აქტით" (Copyright Act). სასამართლომ განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს რაიმე ტიპის თანხმობა სალიცენზიო პირობებზე არ განუცხადებია, Browse Wrap ხელშეკრულება მას ავალდებულებდა დაეცვა სახელშეკრულებო პირობები, რომლითაც აკრძალული იყო Pollstar-ის

2.4 ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა

როგორც ვხედავთ ელექტრონული ვაჭრობისას იდება მრავალი გარიგება. მეტად მნიშვნელოვანია მათი ფორმის დაცვის საკითხის ანალიზი. ცივილისტიკაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულების ფორმის მიზანია მხარეების შეთანხმებული ნების განმტკიცება და სწორად ასახვა. [59] ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი). როგორც წესი, ფორმის განსაზღვრა მხარეების მიერ მათი თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ხდება. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. მათი დიდი ნაწილი იდება ზეპირი ფორმით, მაგრამ არ შეიძლება იმის არაღნიშვნა, რომ თანამედროვე პირობებში რეალურად წერილობითი ფორმა უდიდეს როლს ასრულებს.[60]ამასთან, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილი). სხვა შემთხვევებში მოქმედებს ფორმის თავისუფლების პრინციპი და ფორმის განსაზღვრა მხარეების მიერ მათი თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ხდება.[61] ის ხელშეკრულებები, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, კანონით ამომწურავადაა განსაზღვრული. როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე ელექტრონული ბიზნესის წარმოებისას აუცილებელია განისაზღვროს: თუ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა, ეს მოთხოვნა ითვლება თუ არა შესრულებულად (დაცულად), როცა გარიგება იდება

ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გავრცელება. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია:https://scholar.google.com/scholar_case?case=10978558584290847 07&q=170+F.Supp.2d+974&hl=en&as_sdt=2002

[59] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 114

[60] დაწვრილებით იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი
სამართალი, თბილისი, სამართალი, 2001, 109/

[61] იხ. იქვე, 102-118

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ საკითხის გასარკვევად აუცილებელია გამოიყოს ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება წერილობითი ფორმა[62] და მათი დაცვის გარანტიები გარიგების ელექტრონული საშუალებებით დადებისას. გარიგების წერილობითი ფორმით დადებას აქვს (1) გაფრთხილების, ანუ ნების ნაჩქარევად (დაუფიქრებლად) გამოვლენისგან დაცვის ფუნქცია; (2) სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია; (3) იდენტიფიცირების და ნამდვილობის ფუნქცია; დ) ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციის გაწევის ფუნქცია.[63]

სსკ-ის 69 მუხლი ეხება როგორც მარტივ ასევე რთულ წერილობით ფორმებს. ბაზარზე გავრცელებულია ასევე ე.წ. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადება. აღნიშნული ფორმით დადებული ხელშეკრულება შეფასებულია როგორც მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ხელშეკრულება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია 2008 წლის 14 მარტის კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიზანია შესაძლებელი გახადოს სამართლებრივ ურთიერთობებში თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება, რათა დაზოგილ იქნეს მხარეთა ხარჯები და დრო. ვინაიდან ნების გამოვლენა 69-ე III მუხლის მიხედვით წერილობითი ფორმით მოითხოვს ხელმოწერის არსებობას, ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე სავალდებულო იყოს კომპიუტერზე აკრეფილი ტექსტის ამობეჭდვა და ხელის მოწერა. აღნიშნული კანონით აღარ არსებობს ამის საჭიროება და უფრო მეტიც, შესაძლებელია სრული სამართლებრივი ურთიერთობის ელექტრონულ ფორმატში განხორციელება (ადგილის დაზოგვის მიზნით), მისი ელექტრონულად შენახვა და შემდგომ მისი ხელახალი გადამუშავება. ელექტრონული ფორმის წერილობით ფორმასთან გათანაბრება წინაპირობად აწესებს, რომ შესაძლებელი იყოს ნების გამომვლენის იდენტურობის დადგენა, მისი ნამდვილობის გადამოწმება და ამით თავიდან იქნეს აცილებული გაყალბების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ელექტრონული დოკუმენტით ნების გამომვლენმა არა

[62] Gesetz uber die Rahmenbedingungen fur elektronische Signaturen (*Kreutz, Marcus*) http://www.ecchandel.de/aktuelles/archiv/999071216.php - 29.08.2000

[63] დარჯანია თ.,სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.12.17, მუხ. 69.

მარტო საკუთარი სახელი უნდა მიუთითოს, არამედ დოკუმენტს უნდა დაურთოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.[64]

2.4.1 ხელშეკრულების წერილობით ფორმის უზრუნველმყოფი ინსტრუმენტები

დღევანდელ რეალობაში ნოვატორული საკომუნიკაციო საშუალებებისა და ფორმების დამკვიდრებამ მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები გამოიწვია. რაც უპირველს ყოვლისა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებს უკავშირდება,რომლებმაც სოციალურ ინტერექციის პროცესში მნიშვნელოვნად ჩაანაცვლეს კომუნიკაციის კლასიკური ფორმები. სფერო, რომელიც ამ ელექრონული საშულებების მეშვეობით იქმნება და რასაც ხშირად ვირტუალური სამყაროს (კიბერსფეროს) სახელით ავღნიშნავთ, საკმაოდ პრეტენზიულია. ამ სფეროს შინაარსი და მასში მონაწილეობა მთლიანად განსაზღვრულია ტექნიკურიწესების ერთობლიობით, რომელიც უარყოფს ყველაფერს რაც მასთან შეუთავსებელია. ვინაიდან კიბერსფერო რეალობის ახალი განზომილებაა, ის ავტომატურად ინტერაქციაში მოდის სოციალური ცხოვრების ნორმატიულ ჩარჩოებთან (ანუ ისეთ ნორმატიულ სისტემებთან, როგორიცაა სამართალი, რელიგია, ჩვეულებები, მორალი და ა. შ.) ე. ი. იმ ნორმატიული წესების ერთობლიობასთან, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისათვის არიან მოწოდებულნი და ამ თვალსაზრისით ქცევის გარკვეულ აპრიორულ მოდელებს აყალიბებენ. კიბერსფეროს ზემოთაღნიშნული პრეტენზიული ბუნებიდან, სამართალი იძულებულია კლასიკურ პარადიგმებზე უარი თქვას და ახალი მიდგომები ან ფორმები აირჩიოს. საქმე იმაშია, რომ რიგი ტრადიციული კატეგორიების ფიზიკური სუბსტანცია მათი ვირტუალურ სამყაროში გამოყენების შესაძლებლობას იმთავითვე გამორიცხავს. მაგალითად ტრადიციული (ხელით შესრულებელი) ხელმოწერის აპლიკაცია ვირტუალურ სამყაროსთან შეუთავსებელია. შესაბამისად, ვირტუალურ სფეროზე ეფექტურობის მიღწევის მიზნით სამართალს ბევრ კლასიკურ კატეგორიებზე უარის თქმა და მათი

[64] დარჯანია თ.,სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.12.17, მუხ. 69.

სხვა ალტერნატივებით შეცვლა უწევს.ელექტრონული ხელმოწერა და ელექტრონული დოკუმენტი შეგვიძლია ამგვარ ალტერნატივად ჩავთვალოთ.[65]

ა) დოკუმენტი

დოკუმენტში, პირველ რიგში, იგულისხმება წერილობით განსხეულებული ნების გამოვლენა.[66] ხელმოწერა თავისთავად გულისხმობს დოკუმენტის არსებობას. სამართლებრივად მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა საშუალებით არის ეს დოკუმენტი შედგენილი: ის შეიძლება იყოს ხელით დაწერილი, დაბეჭდილი როგორც სტამბურად, ასევე საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე. იმ გარიგების დროს, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია ნების გამოვლენის მიღებაზე ადრესატის მიერ, ხელმოწერა უნდა შესრულდეს ორიგინალზე, ე.ი. იმ დოკუმენტზე, რომელიც ადრესატამდე მიდის.[67]დოკუმენტი შესაძლოა, შედგებოდეს რამდენიმე ფურცლისგან. განსაკუთრებით ამ შემთხვევაში, სავალდებულოა, რომ ფურცლები ქმნიდეს დოკუმენტის ერთიანობის განცდას. აქ თავისთავად არ იგულისხმება მხოლოდ ფურცლების აკინძვა (მაგ., სტეპლერით, ბაინდერით), ან ფურცლების რაიმენაირი სხეულებრივი კავშირი, არამედ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ დანომრილი იყოს დოკუმენტის გვერდები, ასევე მისი აბზაცები/პუნქტები, დოკუმენტი გრაფიკულად ქმნიდეს ერთიან სხეულს და ფურცლებზე დატანილი ინფორმაცია აყალიბებდეს ერთიან შინაარსს.[68]ვებგვერდის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დოკუმენტი მატერიალური ფორმით არ არსებობს, მხოლოდ ტექსტობრივად არის გამოხატული ტექნიკურ საშუალებაში, კომპიუტერში ან ნებისმიერ მოწყობილობაში, რომლითაც შესაძლებელია ინტერნეტთან დაკავშირება. მიუხედავად ამისა, ქართული კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ დოკუმენტი წერილობითი ფორმის მიზნებისთვის არსებობდეს ელექტრონულადაც. ამ შემთხვევაში, აუცილებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის[69] არსებობა,

---

[65] მგალობლიშვილი, ძიძიგური, ყიფიანი, ელექტრონული ხელმოწერა ქართული სამარლის პერსპექტივაში, 2009 წ.

[66] ბუაძე ქ., ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში, 2012, გვ. 6. ციტ.: Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126, z. 4;

[67] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ 341.

[68] დარჯანია თ.,სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 14.06.18, მუხ. 69 ველი 11.

[69] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არეგულირებს ელექტრონულ ფორმას, როგორც წერილობითი ფორმის ქვესახეობას. § 126ა პარაგრაფის მიხედვით, დოკუმენტის შემდგენელმა თავის განცხადებას უნდა დაუსვას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, წერილობითი ფორმისთვის მთავარი მომენტი ხელმოწერის არსებობაა, სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს კიდეც წერილობითი ფორმის არსებობა-არარსებობის საკითხს.

ბ) ხელმოწერა

69 III მუხლი ეხება წერილობითი ფორმის სავალდებულო ატრიბუტს – ხელმოწერას. ნორმის ფორმულირებას – „წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა“ – აქვს რამდენიმე დატვირთვა. ერთი მხრივ, რეგულირება მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა ხელმოწერა გარიგების დოკუმენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და მეორე მხრივ, სიტყვას „საკმარისია“ აქვს პირდაპირი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს იმას, რომ წერილობითი დოკუმენტი იძენს ძალას მხარეთა ხელმოწერით.უპირველეს ყოვლისა, ხელმოწერას აქვს ე.წ. დოკუმენტის დასრულების ფუნქცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხელის მომწერი ხელმოწერით ასრულებს თავის ნების გამოვლენას და შინაარსობრივად ადასტურებს მას.[70] დოკუმენტის დასრულების ფუნქციაში იგულისხმება ასევე ის, რომ ხელი უნდა მოეწეროს დოკუმენტის ბოლოს, დოკუმენტის დასაწყისში ან რომელიმე გვერდზე ხელის მოწერა არასაკმარისია დოკუმენტის ძალმოსილებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში, ფურცლების გამოცვლის/გაყალბების თავიდან ასაცილებლად, გავრცელებულია ყოველ გვერდზე ხელის მოწერა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტის ბოლოს ხელის მოწერა ზედმეტია. ყოველ გვერდზე ხელის მოწერას, განსხვავებით დასრულების ფუნქციისაგან, აქვს სხვა ფუნქცია, კერძოდ, გაყალბებისგან თავდაცვის, ხოლო ტექსტის ბოლოს ხელის მოწერას – დოკუმენტის დასრულების, მისთვის სამართლებრივი ნამდვილობის შეძენის ფუნქცია.

ხელმოწერის შესახებ” კანონის § 2-ის №2-ისა და №3-ის მიხედვით (BGBl, 2001 I 876). კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, 2014, § 126a. გვ. 54, ველი 2.

[70] დარჯანია თ.,სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.12.17, მუხ. 69.

ზემოაღნიშნულის გარდა, ხელმოწერას აქვს ასევე მიკუთვნებადობის ფუნქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელმოწერით უნდა დგინდებოდეს ნების გამომვლენის ვინაობა და უზრუნველყოფილ იქნეს შინაარსის ნამდვილობა (ანუ ვის ეკუთვნის ხელმოწერა). ამით მიღწეულ უნდა იქნეს მესამე პირების მიერ დოკუმენტის გაყალბებისგან დაცვა. ამიტომ, სრულიად საკმარისია ხელმოწერა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პირის იდენტიფიცირება. სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, „ხელმოწერა უნდა განხორციელდეს გარიგებისათვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე (კონტრაქტზე) საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი გარკვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაქტი ნამდვილი არ არის“.[71] სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში (მაგ., ბანკები), ხშირ შემთხვევაში ითხოვენ მხარეებისგან, რომ მათ გარკვევით მოაწერონ ხელი დოკუმენტს, რათა ხელმომწერის ვინაობა დადგენადი იყოს. როგორც წესი, ამ დროს საკმარისია გვარის მითითება, მხოლოდ სახელის მოწერით ვერ სრულდება ხელმოწერის ფორმის წინაპირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი ფსევდონიმით ან რაიმე კონკრეტული სახელითაა ცნობილი. მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, რამდენად „გაკრული ხელით“ არის ხელი მოწერილი, მთავარია, ხელმოწერა მთლიანობაში იძლეოდეს ხელმომწერის იდენტიფიცირების საშუალებას.[72]

გ) ელ ხელმოწერა და ელ დოკუმენტი

გგ) ელექტრონული ხელმოწერა

ელექტრონულ ვაჭრობასა და ელექტრონულ ხელმოწერაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიას (UNCITRAL), რომელმაც შეიმუშავა მოდელური კანონი `ელექტრონული ვაჭრობის შესახებ” (Model Law of Electronic Commerce ), სადაც განიხილეს ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. ხოლო, 2002 წელს მათ მიერვე შეიქმნა მოდელური კანონი `ელექტრონული ხელმოწერების შესახებ” (Model Law of Electronic Commerce), რომლის მიზანიც იყო ისეთი საშუალებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენებას ტექნიკური საიმედოობის კრიტერიუმების შექმნის გზით, რომელიც შესაძლებელს

[71] საქ. უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-214-511-04, 3.05.2004.

[72] დარჯანია თ.,სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.12.17, მუხ. 69.

გახდიდა ხელით შესრულებული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის ექვივალენტურობას. შესაბამისად, `ელექტრონული ხელმოწერების შესახებ" მოდელურ კანონს შეუძლია დაეხმაროს სახელმწიფოებს თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნაში, რომელიც აღნიშნული საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.[73] სახელმწიფოების მიერ თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნის მიზანი საფუძვლად დაედო ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების შექმნას. კერძოდ, 2008 წელს შეიქმნა საქართველოს კანონი `ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ", რომლის მე-2 მუხლის `ე" ქვეპუნქტი განმარტავს ელექტრონული ხელმოწერის მნიშვნელობას: „ელექტრონული ხელმოწერა – ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმომწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად".[74]

ელექტრონული ხელმოწერა[75] სამართალში არსებობს და იგი ჩვეულებრივ ხელმოწერას უთანაბრდება. ელექტრონული დოკუმენტი - ეს არის ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ერთობლიობა, ხოლო ელექტრონული ხელმოწერა ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის, ან ლოგიკურად უკავშირდება ამ დოკუმენტს და გამოიყენება მის

[73] მეფარიშვილი ქ, კარდენახიშვილი ლ, ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა-ტექნოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები, 2016, გვ 210

[74] მეფარიშვილი ქ, კარდენახიშვილი ლ, ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა-ტექნოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები, 2016, გვ 210

[75] UNCITRAL 2001 წლის მოდალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ ელექტრონულ
ხელმოწერას განმარტავს, როგორც მონაცემთა გზავნილში არსებულ ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც მიბმულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან (გზავნილთან) და რომლებშიც შეიძლება გამოყენებული
იქნას, ხელმომწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის მიზნით, ხელმომწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმომწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში. ენუქიძე ნ., განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა საბანკო სექტორში, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველკვარტალური გამოცემა "ეკონომიკა და საბანკო საქმე", 2014, ტომი 2, N3, გვ. 30.

ხელმოსაწერად.[76]მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნებისმიერი ელექტრონული ხელმოწერა არ არის პირადი ხელმოწერის ტოლფასი. მაგალითად, ინტერნეტსივრცეში არსებობს უამრავი ვებგვერდი და აპლიკაცია, სადაც შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის დამზადება, რომელიც დოკუმენტებზე მისაბმელად გამოიყენება, თუმცა ქართული კანონმდებლობით მხოლოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.[77] ამავე კანონის მიხედვით კი, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა აუცილებლად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული. ეს კი გამორიცხავს სხვა ნებისმიერ ისეთ ხელმოწერას, რომელიც სპეციალური სერთიფიკატის საფუძველზე არაა შესრულებული.[78] საქართველოში ელექტრონულ ხელმოწერას წერილობითი დოკუმენტისგასაფორმებლად მხოლოდ ორ შემთხვევაში იყენებენ: საბანკო მიმართულებით და ID ბარათით[79], ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენებით. საბანკო სექტორში სულ რამდენიმე ბანკშია დანერგილი ელექტრონული ხელმოწერა. მიუხედავად ამისა, იგი შეზღუდულად ფუნქციონირებს, უფრო ზუსტად: ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული საბანკო ოპერაციებისთვის და კონკრეტული მოცულობის თანხის ფარგლებში. ასევე, დღეისათვის ბანკები ელექტრონულ ხელმოწერას მხოლოდ მომხმარებელთან პირისპირ მომსახურების განხორციელებისას იყენებენ. ვებგვერდი დისტანციური სივრცეა, ამდენად, ელექტრონული ხელმოწერა აქ ვერ იქნება გამოყენებული, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებლად ბანკის ტერიტორიაზე სრულდება, მომხმარებელთან

---

[76] „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები.

[77] „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი

[78] მაგ.: გერმანიაში ელექტრონული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის მიღება შეიძლება სპეციალურ ცენტრებში. თუ ცენტრი უსაფრთხოების განსაკუთრებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მას შეუძლია კვალიფიციური სერტიფიკატის გაცემა, რასაც საბოლოოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერამდე მივყავართ (qualifizierte elektronische signature). ამ მხრივ იხ.: ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 130

[79] პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის დოკუმენტი, რომელიც პირის ვინაობას ადასტურებს. მასზე დატანილია სახელი, გვარი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, სქესი, პირადი ნომერი, ფოტო, ბარათის გამცემი ორგანო, გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა და ხელმოწერა.

საბანკო მომსახურების პირისპირ გაწევის დროს. რაც შეეხება მეორე მიმართულებას - ID ბარათით ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენებას, აქ ხელმოწერის განხორციელება სახლიდან, საკუთარი კომპიუტერით ანუ დისტანციურადაა შესაძლებელი. ზემოხსენებულ პორტალში მომხმარებელი ხელმოსაწერად ტვირთავს სასურველ დოკუმენტს და მეორე მხარეს უზიარებს. ამისათვის კი აუცილებელია მეორე მხარესაც ანალოგიურად ჰქონდეს რეგისტრაცია ციფრული ხელმოწერის პორტალზე გავლილი. ეს კი, რა თქმა უნდა, პრობლემაა, რადგან ამ პროცესისთვის მომხმარებელს ესაჭიროება ID ბარათის სპეციალური წამკითხველი და კომპიუტერში საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა.[80]ამ პრინციპით, ელექტრონული ხელმოწერა, რა თქმა უნდა, ასრულებს გარიგების წერილობითი ფორმის ფუნქციებს, მაგრამ საკითხავია, რამდენად ხშირად გამოიყენება ხელშეკრულებების გასაფორმებლად ციფრული ხელმოწერის პორტალი. უდავოა, რომ ID ბარათი უფუნქციოა იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ასევე ხელშეკრულებების გასაფორმებლად ქართული ვებგვერდების აბსოლუტური უმრავლესობა არ იყენებს ID ბარათით იდენტიფიკაციის ფუნქციას,[81] მათ შორის, არც ინტერნეტბანკები. ასევე იმ პირობებში, როდესაც ვებგვერდზე გარიგებების დადება სწრაფ და მოქნილ პროცესთანაა დაკავშირებული, მომხმარებლისთვის სპეციალური წამკითხველებისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. ამავდროულად, შეუძლებელია ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენება მობილურ ტელეფონში, მაშინ, როდესაც ვებგვერდზე ხელშეკრულების გაფორმება ნებისმიერი, ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობითაა ხელმისაწვდომი.[82]

აშშ-ის 2000 წლის ფედერალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სავაჭრო ურთიერთობებში ტერმინ `ელექტრონულ დოკუმენტს~ განმარტავს როგორც კონტრაქტს ან სხვა

---

[80] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენების
ინსტრუქცია, ხელმისწავდომია: https://id.ge/kb/pages/viewpage.action?pageId=819202 [16.06.2018]

[81] ვებგვერდზე შესაძლებელია ID ბარათით იდენტიფიკაციის ფუნქციის განთავსება, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი გადმომისამართდება ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის ვებგვერდზე, სადაც გაივლის იდენტიფიკაციას ID ბარათით, იქვე ნახავს რა ინფორმაცია გადაეცემა გადმომმისამართებელს და დაადასტურებს მას.

[82] სოფრომაძე.,ა, ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება, 2018, გვ 45

დოკუმენტს, რომელიც შექმნილი, ნაწარმოები, გაგზავნილი, შეტყობინებული, მიღებული ან შენახულია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამდენად, ელექტრონულია დოკუმენტი, რომელშიც ინფორმაცია წარმოდგენილია ელექტრონულ-ციფრული ფორმით. UNCITRAL -ის მოდელური კანონი `ელექტრონული ვაჭრობის შესახებ~ მთლიანად ეფუძნება ე.წ. ფუნქციურ ეკვივალენტს. ეს ნიშნავს, რომ, თუ, ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად, გარიგების დადების და შესრულების პროცესში ქმედებები უნდა აისახოს წერილობითი ფორმით ან წერილობითი დოკუმენტის გამოყენებით, ეს მოთხოვნა ითვლება შესრულებულად მაშინ, როცა მითითებული ქმედებები ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული შეტყობინების საშუალებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. ცხადია, ელექტრონული გზით გარიგების დადებაზე გადაწყვეტილებას მხარეები თავად იღებენ. სწორედ ამიტომ, მოდელური კანონით დადგინდა ელექტრონული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპი: მხარეებს, რომლებმაც დადეს გარიგება, უფლება არა აქვთ, ეჭვის ქვეშ დააყენონ მისი ნამდვილობა და სავალდებულოობა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის დადებული და ხელმოწერილია ელექტრონული საშუალებით. ინფორმაციას არ შეიძლება წაერთვას იურიდიული ძალა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მონაცემთა ელექტრონული შეტყობინების ფორმა აქვს. აღნიშნულს პირობითად ტექნოლოგიური არადისკრიმინაციის პრინციპსაც უწოდებენ, რისი მიზანიც მონაცემთა ელექტრონული შეტყობინებისა და ქაღალდის დოკუმენტების მიმართ თანასწორი რეჟიმის უზრუნველყოფაა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ: ელექტრონული ვაჭრობისას გარიგება იდება დოკუმენტების ელექტრონული საშუალებით გაცვლის შედეგად, რაც იძლევა იმის დანამდვილებით დადგენის საშუალებას, რომ გამოვლენილი ნება ხელშეკრულების მხარისაგან მომდინარეობს; ასეთი დოკუმენტები არსებობს ელექტრონული ჩანაწერის სახით; ელექტრონულ დოკუმენტს ხელს აწერს ხელშეკრულების მხარე ან მის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი; ელექტრონული ვაჭრობისას გარიგების ხელმოსაწერად გამოიყენება ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა ან პირადი ხელმოწერის სხვა ანალოგი[83]

[83] ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და

2.5 გარიგების ელექტრონული ფორმა სსკ-სა და გსკ-ს მიხედვით

13.07.2001 წელს გსკ-ს სამოქალაქო ბრუნვის გასამარტივებლად დაემატა

ელექტრონული (§126ა) და ტექსტური ფორმები (§126ბ), რომლებიც თანამედროვე

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ნების

გამოვლენის მთელს მსოფლიოში, სწრაფად და ფაქტობრივად დანაკარგის გარეშე

გადაცემის შესაძლებლობას ქმნის.[84]ცვლილების მიზანს გერმანული კერძო

სამართლის თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის გამოწვევებთან მისადაგება

წარმოადგენს.[85] [86]კანონის განმარტების თანახმად, თანამედროვე სამოქალაქო

ბრუნვა, სადაც განვითარებულია ვაჭრობის მობილურობა და ჩართულია ფართო

მასები, არ უნდა ბრკოლდებოდეს გსკ-ით დადგენილი წერილობითი ფორმით,

შესაძლებელი უნდა იყოს ელ. საშუალებებით შედგენილი გარიგების,

ელექტრონული გზებითვე გაგზავნა, რა დროსაც გამორიცხება დოკუმენტის

პირადი ხელმოწერა. [87]ცვლილების შესაბამისად პირადი ხელმოწერის ჩანაცვლება ელექტრონლი ხელმოწერით მოხდა (§126ა) და ფორმასაც შესაბამისად გარიგების ელექტრონული ფორმა ეწოდა, რომელიც წერილობითი ფორმის ნაცვლად მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება.[88] ის გულისხმობს ნების გამომვლენის მიერ ელ. დოკუმენტზე თავისი სახელისა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დასმას ხელმოწერის

პერსპექტივა), ქართული სამათლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 116.

[84] BT- Drucksache, 14/ 4987, S. 1, 5, 10; ცვლილება ძალაში შევიდა 01.08.2011 წელს;

[85] BT- Drucksache, 14/ 4987, S. 10;

[86] BT- Drucksache, 14/ 4987, S. 1 ცვლილება, თავის მხრივ, ეხმიანება ევროპულ 13.12.1999 წლისა და 08.06.2000 წლის დირექტივებს;

[87] BT- Drucksache, 14/ 4987, S. 10;

[88] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126a, z. 2;

შესახებ კანონის შესაბამისად (გსკ §126ა, I).[89] ამასთან, მეორე მხარე თანახმა უნდა იყოს ელექტრონული ფორმის გამოყენებაზე, აღნიშნულზე თანხმობა გამოთქმულ უნდა იქნას სულ ცოტა კონკლუდენტურად, საკმარისი არ არის ელექტრონულ ბრუნვაში მხოლოდ მონაწილეობის მიღება.[90] ელექტრონული ხელმოწერა ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული კომუნიკაციის საშულებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ქმნის, ეს შესაძლებელია, როდესაც მხარეები ხელს აწერენ ერთი და იმავე შინაარსის დოკუმენტ(ებ)ს ელექტონულად,[91]ასევე, თუ ხელშეკრულების დადებისას ერთი მხარე იყენებს წერილობით ფორმას, ხოლო მეორე ელექტრონულ ფორმას.[92] სსკ-ი არ იცნობს ელ. ხელმოწერას, შესაბამისად, არც ელექტრონულ ფორმით გარიგების დადების შესაძლებლობას. ამასთან, 2008 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი "ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ". აღნიშნული კანონის მიხედვით ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერა[93] მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალის მატარებელია (მუხლი 3, I) და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა დოკუმენტის მატერიალურ ფორმას ითხოვს (მუხლი 3, II). კნაონი ანსხვავებს წერილობით დოკუმენტის 2 სახეს: წერილობითი მატერიალური დოკუმენტი და წერილობითი ელექტრონული დოკუმენტი. წერილობითი მატერიალური დოკუმენტი ინფორმაციის ტრადიციული ფორმით მატარებელია, კერძოდ, წარმოადგენს ინფორმაციას ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე თუ არ არმქონე ფაქტს (მუხლი 2, "ა.ბ"). ამის პარალალურად, წერილობითი ელექტრონული დოკუმენტი

---

[89] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126a, z. 1, 4, 5, 6 კვალიფიციური ელ. ხელმოწერის დასმა ხდება ჩიპ-კარტით, რომელიც ფაქტობრივად ხელმოწერის გასაღებია, მისი წინაპირობებია: ხელმოწერა უნდა ეკუთვლოდეს მხოლოდ ხელმომწერს, ახდენდეს მის იდენტიფიცირებას, გააჩნდეს სერტიფიკატი, გასაღების გამოყენება მხოლოდ მას უნდა შეეძლოს, დაკავშირებული უნდა იყოს საკონტროლო რიცხვებთან, ხელმოწერის მთლიანობისთვის საჭიროა hard-ი და software-ი.

[90] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126a, z. 7;

[91] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126a, z. 8;

[92] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126a, z. 8;

[93] კანონი ასევე ანსხვავებს ელექტრონული ხელმოწერის ორ სახეს: სერტიფიკატის საფუძველზე შექმნილი, რომელსაც გასცემს აკრედიტირებული სერიფიკატის გამცემი და მოწმობის საფუძველზე შექმნილი ხელმოწერა, რომელსაც შესაბამისად გასცემს არააკრედიტებული მოწმობის გამცემი (მუხლი 2, II „ო", „ჟ", მუხლი 3, III).

ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაციაა, რომელიც მსგავსად მატერიალური დოკუმენტისა იურიდიული მნიშვნელობის მქონე თუ არმქონე ფაქტების დადასტურებას ახდენს (მუხლი 2, "ა.ა"). აქვე დადგენილია ელექტრონული დოკუმენტისა და ხელმოწერის მტკიცებულებითი ბუნება, რომლის მიხედვითაც სასამართლომ არ შეიძლება უარი თქვას ელექტრონული დოკუმენტისა და ხელმოწერის მიღებაზე მხოლოდ იმ მოტივით რომ ისინი წარმოადგენილი ელექტრონული ფორმით (მუხლი 3, V). მნიშვნელოვანია ის საკითხი, როდესაც ხელმოწერა ელექტრონულ დოკუმენტზე მოხდა კანონის პირობების დაუცველად, კანონის მიხედვით ასეთ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის შესაძლებელია მიენიჭოს პირადი ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა (მუხლი 3, IV). მეტიც კანონი ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც ამ კანონის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს სსკ-თი გათვალისწინებულ შემდეგ გარიგებებზე: ვალის აღიარება (მუხლი 341), თავდებობა (მუხლი 892), სამისდღეჩიო რჩენა (მუხლი 942), ანდერძი (მუხლი 1357). დასკვნის სახით შესაძლებლია ჩამოვყალიბდეთ შემდეგზე: მიუხედავდ იმისა, რომ სსკ უშუალოდ არ იცნობს ელექტრონული ფორმით გარიგების დადების შესაძლებლობას კანონი "ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ" შესაძლებელს ხდის მხარეთა სურვილის არსებობის შემთხვევში კანონით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის (მატერიალური, ქაღალდური ფორმა) ნაცვლად ესა თუ ის გარიგება დადონ ელექტრონული დოკუმენტისა და ხელმოწერის გამოყენებით, გარდა ამავე კანონით დადგენილი საგამონაკლისო გარიგებებისა. მეტიც, კანონი ეხება ასევე ე.წ სამოქალაქოსამართლებრივ საეჭვოობის შემთხვევას, როდესაც განსაზღვრავს რომ კანონის პირობების დაუცველობით გაკეთებული ელექტრონული ხელმოწერა მხარეთა შეთანხმებით უთანაბრდება პირად ხელმოწერას. აღნიშნული მუხლი კი ერთგვარად ახლოს დგას გსკ-ით გათვალისწინებულ §127-თან, რომელიც ადგენს საეჭვოობის შემთხვევისათვის ელექტრონული ფორმის განმარტების წესს. აღსანიშნავია ასევე, რომ კანონის მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ სსკ-თი გათვალისწინებულ ურთიერთობებზე არამედ გარკვეულწილად ეხება ასევე სამოქალაქო საპროცესო

კოდექსს, განუსაზღვრავს რა ელექტრონულ დოკუმენტსა და ხელმოწერას მტკიცებულებით ძალას.[94]

2.5.1 ტექსტური ფორმა გსკ-ის მიხედვით

სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების მიზნით გსკ-ში დამკვიდრდა §126 ბ, ტესტური ფორმა. მისი სიმარტივე უსხეულო, [95] ხელმოუწერელ ფორმაშია, [96]რომელიც იკითხება და გადაიცემა თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებით.[97]ტექსტური ფორმა გსკ-ით გათვალისწინებული ყველაზე მარტივი ფორმაა[98]და არ ემსახურება არც ერთ "კლასიკურ" ფორმის მიზანს (გაფრთილების, მტკიცების, იდენტიფიცირების),[99] არამედ დატვირთულია ინფორმირება-დოკუმენტირების ფუნქციებით.[100][101] შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც პირველ რიგში ინფორმირება დოკუმენტირების ფუნქციის შესრულება დგას (და არა მტკიცების ან გაფრთხილების), რისთვისაც საკმარისი არ არის ზეპირი ფორმა,[102] ხოლო ინფორმაციის მიმღებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ინფორმაცია მიუვიდეს

დროულად და ამასთან ჰქონდეს მისი შენახვის შესაძლებლობა მიზანშეწონილია ტექსტური ფორმის გამოყენება.[103] გასათვალისწინებელია, რომ თუ დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებისა და გაფრთხილების ფუნქციებს, გამოყენებულ უნდა იქნას არა ტექსტური, არამედ წერილობითი ფორმა.[104] ტექსტური ფორმით გამოვლენილი ნების გადაცემის სისწრაფეს უზრუნველყოფენ ელექტრუნული კომუნიკაციის საშუალებები, რომლებიც ნების გაყალბების რისკებს უკავშირდებიან. თუმცა აღნიშნული საფრთხე არსებობს როგორც წერილობითი

---

[94] ბუაძე ქ, ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებები,2012წ გვ13
[95] Dauner-Lieb, Heidel, Ring, BGB, Band I, Noack/Kremer, §126b, Z. 8;
[96] Palandt, BGB, 65. Auflage, §126b, Z. 1;
[97] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126b, z. 1;
[98] Recht der elektonischen Median – Wiebe, Schuster, Pfeiffer, 2.Auflage, Spimdler, Anton, §126b, Z.1, 2;
[99] Palandt, BGB, 65. Auflage, §126b, Z. 1;
[100] Recht der elektonischen Median – Wiebe, Schuster, Pfeiffer, 2.Auflage, Spimdler, Anton, §126b, Z.1;
[101] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126b, z. 1;
[102] Dauner-Lieb, Heidel, Ring, BGB, Band I, Noack/Kremer, §126b, Z. 3;
[103] BT- Drucksache, 14/ 4987, S.19;
[104] BT- Drucksache, 14/ 4987, S.18-19;

ფორმით გამოვლენილი ნების ფოსტის მეშვეობით გაგზავნისას, ისე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას.[105] ტექსტური ფორმით გამოვლენილი ნება შესაძლებელია გადაცემულ იქნას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, მათ შორის, კომპიუტერის ფაქსით, ი-მელით, ტექსტური შეტყობინებით, რომლებიც ადრესატთან შესაძლებელია შაინახოს ხანგრძლივი დროით (დისკეტაზე, მყარ დისკზე, ქაღალდსა თუ ი-მეილზე)[106] და ამასთან, მას ექნება შესაძლებლობა წაიკითხოს ის ეკრანზე თუ ამობეჭდილი ფორმით,[107] [108] [109] სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეულებრივი საშუალებებით, ისე რომ მისი შინაარსი უცვლელი დარჩეს.[110] ამასთან, აუცილებლი არ არის მისი ამობეჭდვა.[111] [112] აღნიშნული წინაპირობის დაცვისათვის საკმარისი არ არის ნების გამოვლენის ხმის ჩანაწერის ფორმით გამოვლენა, თუნდაც ის გადაცემული იქნას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან ჩაწერილი იყოს სხვადასხვა მატარებელზე (დისკზე, ფლეშმეხსიერებაზე).[113] ტექსტური ფორმით ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის, რომელიც გადაიცემა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოქმედებს გსკ-ის §130 (ნების გამოვლენის ნამდვილობა არათანმყოფ პირებს შორის).[114] [115]§130-ის მიხედვით, ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთდეს სხვა პირის მიმართ ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის მქონე ხდება იმ მომენტში, როდესაც იგი მას მიუვა. ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით გადაცემისას ნების მიმღები თანახმა უნდა იყოს ასეთი საშუალებით ნების გამოვლენის მიღებასა[116] და ჩამოტვირთვა/შენახვაზე[117] (ადრესატის თანხმობა

---

[105] BT- Drucksache, 14/ 4987, S.19;

[106] Palandt, BGB, 65. Auflage, §126b, Z. 3;

[107] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126 b, z. 4;

[108] Erman, BGB Kommentar, 12.Aufl., H.Palm, §126b, Z. 32;

[109] სხვა მოსაზრების მიხდევით აუცილებელი არ არის აღნიშნული ფორმით ნები გამოვლენის არც შენახვისა და არც უშაულოდ წაკითხვის შესაძლებლობის არსებობა, საკმარისია, დამხარე მოწყობილობის საშუალებით წერილობითი ნიშნებით გამოხატული ნების გამოვლენის შინაარსის ოპტიკური აღქმა. Dauner-Lieb, Heidel, Ring, BGB, Band I, Noack/Kremer, §126b, Z. 11;

[110] Dauner-Lieb, Heidel, Ring, BGB, Band I, Noack/Kremer, §126b, Z. 13;

[111] Palandt, BGB, 65. Auflage, §126b, Z. 3;

[112] Erman, BGB Kommentar, 12.Aufl., H.Palm, §126b, Z. 3;

[113] Dauner-Lieb, Heidel, Ring, BGB, Band I, Noack/Kremer, §126b, Z. 12;

[114] Palandt, BGB, 65. Auflage, §126b, Z. 3;

[115] Erman, BGB Kommentar, 12.Aufl., H.Palm, §126b, Z. 3;

[116] Palandt, BGB, 65. Auflage, §126b, Z. 3;

გამოთქმული უნდა იქნას კონკლუდენტურად ან აშკარად, ზოგადად ან ერთეული შემთხვევისათვის).[118]აღნიშნული უზრუნველყოფილია როდესაც ნების მიმღები უთითებს, თავის ელ. ფოსტაზე, ან ფაქსის ნომერზე.[119]

ტექსტური ფორმა გამოიყენება კანონით დადგენილ[120](§126ბ) ან მხარეთა შეთანხმებულ შემთხვევაში (§ 127 გსკ). კანონით გათვალისწინებული ფორმა ტექსტური ფორმა გამოიყენება როგორც გსკ-ით, ისე სხვა სპეციალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორისა სავაჭრო კანონიც (HGB).[121] გსკით გათვალისწინებული შემთხვევებია:[122]

- მეწარმე ვალდებულია მომხმარებელს შორ მანძილზე ხელშეკრულების

დადების შემთხვევაში კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების

გამოყენებით მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია ტექსტური ფორმით:

მეწარმის, ხელშეკრულების დებულებების, მათ შორის, სტანდარტული

პირობების, შეთავაზებული შესრულების, ასევე, ნების გამოვლენისა თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელების შესახებ (გსკის § 312ც, II);[123]

- გსკ-ის §355 I-ის მიხედვით თუ მომხმარებელს კანონით განსაზღვრული აქვს

ნების გამოვლენის გამოთხოვის უფლება, მას შეუძლია აღნიშნულიო

უფლება განახორციელოს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ტექსტური

ფორმით ან ნივთის უკან დაბრუნებით წინამდებარე უფლების შესახებ

ინფორმირებიდან 2 კვირის ვადაში.[124]

---

[117] Erman, BGB Kommentar, 12.Aufl., H.Palm, §126b, Z. 3;
[118] Erman, BGB Kommentar, 12.Aufl., H.Palm, §126b, Z. 3;
[119] Palandt, BGB, 65. Auflage, §130, Z. 7a;
[120] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126 b, z. 2, შესაბამისად, ამ პარაგრაფის მიხედვით ტექსტური ფორმა არ გამოიყენება ისეთი ნების გამოვლენის მიმართ, რომელიც ფორმათავისუფალია.
[121] Erman, BGB Kommentar, 12.Aufl., H.Palm, §126b, Z. 2;
[122] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126 b, z. 2;
[123] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Ahrens §126 b, z. 2;

- გსკ-ის §-477-ის მიხედვით მომხმარებელს უფლება აქვს მეწარმეს

მოსთხოვოს გარანტიის გაცემა ტექსტური ფორმით.[125] თავის მხრივ,

გარანტია არის ფორმათავისუფალი, აღნიშნული პარაგრაფი კი

მომხმარებელს აძლევს უფლებას მოითხოვოს გარანტია ტექსტური

ფორმით.[126]

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კანონით დადგენილი ტექსტური ფორმა ეხება ცალმხრივი ნების გამოვლენის შემთხვევებს, რომლებიც ატარებენ ინფორმირება-დოკუმენტირების ფუნქციებს და არა ხელშეკრულებებს. გსკ-ი არ ადგენს ტექსტურ ფორმას ხელშეკრულებებისათვის, თუმცა არც კრძალავს ამას. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების ტექსტური ფორმით დადება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი კონკრეტული ხელშეკრულებისათვის კონკრეტულ ფორმას ითვალისწინებს. გამოდის რომ, კანონმდებელი სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ფორმის თავისუფლების პრინციპიზე დაყრდნობით აძლევს მხარეებს საშუალებას სურვილის შემთხვევაში აირჩიონ ტესტური ფორმა ხელშეკრულებისათვის, მაგრამ ფორმის რისკს მხარეებს აკისრებს. სსკ ტექსტურ ფორმას საერთოდ არ იცნობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სსკ გამორიცხავს ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ელექტრონული ვაჭრობისას.[127]

IV გამოსაყენებელი სამართლის არჩევა

დისტანციურ, ინტერნეტით შემდგარ სახელშეკრულებო ურთიეთობაში, საყურადღე-
ბოა, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების ფორმასთან
შესაბამისობა. გამოსაყენებელი სამართლის შესახებ რეგულაციის (Rome I) მე-11 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულება დადებულია მხარეთა შორის ერთსა და

[124] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, Medicus §355, z. 1-5, თუ მომხმარებლის ინფორმირება
მოხდა ხელშეკრულების დადების შემდგომ მაშინ ნების გამოთხოვის ვადა შეადგენს 1 თვეს ;
[125] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, D Schmidt §477, z. 6;
[126] Pruetting, Wegen, Weinrich, BGB Kommentar, D Schmidt §477, z. 6;
[127] ბუაძე.,ქ, ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში,2012

იმავე ქვეყანაში, მაშინ ფორმასთან შესაბამისობა დარეგულირდება მხარეთა მიერ შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართლით ან იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ხელშეკრულება დაიდო (Lexlocicontractus)[128]. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, ხელშეკრულების ფორმა ჩაითვლება დაცულად იმ ქვეყნის სამართლის შესაბამისად, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულება, იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ერთ- ერთი მხარე (ან წარმომადგენელი) იმყოფება, ან ერთ-ერთი მხარეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი[129]. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის (შემდგომში ,,სკს") 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ. სკს არ ადგენს გამოსაყენებელი სამართლისთვის საჭირო სავალდებულო ფორმას. შესაბამისად,იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო დავა ქართული კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ან ტექსტური ფორმით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფორმის დაცვის მოთხოვნა არ არსებობს მათ შორის მომხმარებელსა და პროფესიონალ სერვისის ან საქონლის მიმწოდებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რაც ნიშნავს, იმას რომ მომხმარებელთან დადებული ელექტრონული ხელშეკრულებით ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევა ჩაითვლება ნამდვილად.[130]

3.საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრა

კანონმდებელი სკს მე-18 მუხლით განსაზღვრავს მხარეთა თავისუფლებას აირჩიონ იმ ქვეყნის სასამართლო, რომელსაც ექნება საერთაშორისო იურისდიქცია. გამონაკლისი მხარეთა კერძო ავტონომიიდან არის შემთხვევები,

---

[128] C. M. V. Clarkson, J. Hill, The Conflict of Laws, Oxford University Press, fourth edition, 2011, 248

[129] RegulationNo 593/2008(Rome I), Official Journal of The European Union L177/6, <http://eur-lex.europa.
eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32008R0593>

[130] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი N1. გვ81

როდესაც სასამართლოს აქვს გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია (მე-10 მუხლი) ან სახეზეა სკს 11- 16 მუხლებით გათვალისწინებული უდავო საქმეთა წარმოება[131] (უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, შვილად აყვანა და ა.შ.). საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისთვის კანონმდებელი ადგენს სავალ- დებულო შემდეგ ფორმებს - ა)წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით ბ)საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო. ბრიუსელის კონვენცია, რომლის მსგავს რეგულირებასაც გვთავაზობს სკს, არ ითვალისწინებდა ბრიუსელის რეგულაციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბა- მის ჩანაწერს. აღნიშნული პუნქტის თანახმად ელექტრონული საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმების შენახვის შესაძლებლობას უთანაბრდება წერილობით ფორმას. ელექტრონული ფორმის წერილობითთან გათანაბრება კომუნიკაციის ახალი ფორმების განვითარებამ განაპირობა[132]. აღნიშნული დათქმა შეესაბამება ელექტრონული ვაჭრობის შესახებ No 2000/31/EC დირექტივას, რომელიც მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან, რომ თავიანთ სამართლებრივ სისტემებში უზრუნველყონ ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა[133]. ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს რეგულაციით განსაზღვრულ ძირითად პირობას - შესაძლებელი უნდა იყოს მისი შენახვა, რეპროდუცირება, შემდგომი გამოყენება. ,,აღნიშნული რეგულირება მოიცავს ელექტრონული ფოსტით დადებულ შეთანხმებებსაც, ვინაიდან ელექტრონული შეტყობინებები შესაძლებელია ადვილად იქნეს შენახული მიმღების საფოსტო ყუთში (Mailbox), გადმოიწეროს კომპიუტერში ან ამოიბეჭდოს“[134]. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ევროკავშირის

---

[131] ს. გამყრელიძე, სასამართ81ლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის
პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N3(30)’11, (2011) 25

[132] U. Magnus/P.Mankowski/U. Magnus, Brussels I Regulation, European Commentaries on Private International Law 2007, art. 23, 419

[133] Ibid. 419

[134] U. Magnus/P.Mankowski/U. Magnus, Brussels I Regulation, European Commentaries on Private International Law 2007, art. 23, 419

მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე JaouadElMajdoub v. CarsOnTheWeb.DeutschlandGmbH, რომლითაც სასამართლომ განმარტა ე.წ. დაწკაპუნებით დადებული ხელშეკრულების (Click-wrapping) შესაბამისობა, ბრიუსელის რეგულაციის განსახილველ ნორმასთან. აღნიშნულ საქმეზე მხარე უთითებდა, რომ ხელშეკრულების ზოგადი პირობები (General terms and conditions), რომელიც შეიცავდა დათქმას საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, არ იხსნებოდა ავტომატურად, ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს და არც თითოეული შეძენის განხორციელების დროს. ნაცვლად ამისა მითითებული იყო ,,მიწოდების და გადახდის პირობების ახალ ფანჯარაში გასახსნელად დააწკაპუნეთ აქ". მყიდველი სანამ შეიძენდა ნივთს ეთანხმებოდა ზოგად პირობებს, თუმცა პირობები ავტომატურად არ იხსნებოდა და დამატებით დაწკაპუნება იყო საჭირო. მოსარჩელის მითითებით ფორმა დაცულად ჩაითვლებოდა თუ ავტომატურად გაიხსნებოდა ხელშეკრულების პირობები. CJEU-მ განმარტა, რომ ბრიუსელის რეგულაციის მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა ელექტრონული საშუალებით დადებული შეთანხმების ფაქტობრივად შენახვა განხორციელდა თუ არა. ნორმა მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილის იყოს შენახვის შესაძლებლობა. ანალოგიურად არის განმარტებული ნორმა კომენტარში, რომლის თანახმად მთავარია შესაძლებელი იყოს შეთანხმების რეპროდუცირება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მყარ დისკზე ჩაწერით, ამობეჭდვით ან სხვა ფორმით. რა ფორმით იქნება შენახვის შესაძლებლობა ან ფაქტობრივად განხორციელდა თუ არა შენახვა, ფორმის დაცვის შეფასების მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა.[135]
ისევე როგორც წერილობითი ფორმის შემთხვევაში, ფორმასთან შესაბამისობის განხილვისას ძირითადი კრიტერიუმი იმის დადგენაა არსებობს თუ არა მხარეთა ნამდვილი თანხმობა სასამართლოს არჩევასთან დაკავშირებით. განსახილველ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მყიდველი შესაბამისი ველის მონიშვნით (დაწკაპუნებით), დაეთანხმა ძირითად პირობებს, რომლის შემადგენელი იყო დათქმა საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე. მეორე საყურადღებო საკითხს წარმოადგენდა შეთანხმების ნამდვილობა მათ შორის იმ წინაპირობის შემოწმების თვალსაზრისით, იძლეოდა თუ არა ელექტრონული ფორმა ხელშეკრულების ჩამოტვირთვის ან სხვაგვარად შენახვის

[135] U.Magnus/P.Mankowski/U. Magnus, Brussels I Regulation, European Commentaries on Private International Law 2007, art. 23, 419

შესაძლებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ Click-wrapping მეთოდით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა ან ამობეჭდვა ხელშეკრულების დადებამდე. შესაბამისად სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მოსაზრება, რომლის თანახმად ის ფაქტი, რომ ვებ- გვერდზე დარეგისტრირების ან თითოეული შესყიდვის განხორციელების მომენტში ხელშეკრულება ავტომატურად არ იხსნებოდა, გავლენას ახდენდა მის ფორმასთან შესაბამისობაზე. აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრონული საშუალებით ,,Click-wrapping" მეთოდით დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს სასამართლოს არჩევის შესახებ პირობას, წარმოადგენს კომუნიკაციას ელექტრონული საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების შენახვის შესაძლებლობას (23-2). აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების დადებამდე, შესაძლებელია შეთანხმების ტექსტის ჩამოტვირთვა, ამობეჭდვა, შენახვა[136]. ქართული კოლიზიური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დათქმას ტექსტური ფორმის წერილობითთან გათანაბრებასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, სკს მე-18 მუხლი, ბრიუსელის კონვენციის გავლენით (რომელშიც არ იყო აღნიშნული ნორმა), მხოლოდ წერილობით ფორმას, ზეპირი შეთანხმების წერილობით დადასტურებას და საერთაშორისო ჩვეულებებით დადგენილ ფორმას აღიარებს. შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე რჩება ელექტრონული საშუალებებით დადებულ ხელშეკრულებებში არსებული პირობები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ელექტრონული საშუალებით საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ შეთანხმება, ვერ მიიჩნევა ნამდვილად ვინაიდან არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ არცერთ ფორმას.[137]

---

[136] Jaouad El Majdoub v CarsOnTheWeb.DeutschlandGmbH, (Case C322/14), 2015, CJEU

[137] ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი N1. გვ.83.

V მომხმარებელთა უფლების დაცვალ ელ ვაჭრობაში

ა) მომხმარებელი

ვინაიდან ევროკავშირის 97/7 დირექტივის მიზანი წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას, მიზანშეწონილია განვიხილოთ დირექტივით ნაგულისხმევი ტერმინი „მომხმარებლის“ განმარტება. დირექტივის 2.2 მუხლის თანახმად, „მომხმარებელი“ არის „ფიზიკური პირი, რომელიც დირექტივით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებში გამოდის მისი კომერციული საქმიანობის, ბიზნესის და პროფესიული მიზნებისაგან დამოუკიდებლად.“ უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი “მომხმარებლის“ დეფინიცია განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული. სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი[138] „მომხმარებლად“ განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ პირს. მაშინ როცა, რამდენიმე ქვეყნის[139] კანონმდებლობა „მომხმარებლად“ მიიჩნევს გარკვეული სახის იურიდიულ პირებსაც (მაგ. არასამეწარმეო იურიდიული პირი). 97/7 დირექტივის 2.2 მუხლით გათვალისწინებული „მომხმარებლის“ განმარტების მსგავსი დეფინიციებია 1980 წლის „სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ რომისა და 1968 წლის „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე ქვემდებარეობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“ ბრიუსელის კონვენციებში.“[140]

ბ) მიმწოდებელი

შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების მთავარი მხარე გახლავთ მიმწოდებელი. რომელიც ამგვარ ხელშეკრულებებში გვევლინება ძლიერ მხარედ. 97/7 დირექტივის 2.3 მუხლის თანახმად „მიმწოდებელი“ არის „ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დირექტივით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებში გამოდის კომერციული და პროფესიული ინტერესით.“ [141] ნიშანდობლივია, რომ თუ ხელშეკრულების დადების რომელიმე

---

[138] (გერმანია, იტალია, ლატვია, ლიტვა და სხვა)

[139] მაგ. ავსტრია, ჩეხეთი, დანია, პოლონეთი, საფრანგეთი და ა.შ.

[140] ვ.ზაალიშვილი, „სამომხარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში,“ გვ.60, თსუ-ს სამართლის ჟურნალი, 2010 წ.

[141] ჯინჭარაძე ნ,შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებისას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროკავშირის 97/7 დირექტივის მიხედვით. 2016 წ, გვ 157.

სტადიაზე, მომხმარებელს შეუძლია შეხვდეს მეწარმეს ან წინასწარ, ფიზიკურად დაათვალიეროს მისთვის სასურველი საქონელი და შემდგომ შეათანხმოს პირობები, ასეთი ხელშეკრულება არ ჩაითვლება დისტანციურად დადებულად და ვერც მომხმარებელი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულების უარყოფით უფლებით.[142] ფართო გაგებით, დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით დადებული ხელშეკრულებები კერძო სამართლის განუყოფელი ნაწილია. ვაჭრობის დასახელებული ფორმა შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება. ვიწრო გაგებით, არსებობს ელექტრონული კომერციის ორი ძირითადი მიმართულება: ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მეწარმე სუბიექტებს შორის (business to business (B2B)) და ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის (consumer to business (B2C)). ხელშეკრულების დიფერენციაცია სუბიექტების მიხედვით იწვევს მათ განსხვავებულ რეგულირებას. მეწარმე სუბიექტებს შორის დადებული ელექტრონული ხელშეკრულებები წესრიგდება საერთაშორისო და შიდა სახელშეკრულებო რეჟიმებით. მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები შედარებით ვიწრო რეგულაციებს ექვემდებარება. ისინი მოცემულია შიდასახელმწიფოებრივ და რეგიონალურ აქტებში (განსახილველი მიზნებისათვის, ევროპული კავშირის დერექტივებში), როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი მექანიზმები. ორივე შემთხვევაში მიდგომა ხელშეკრულების ნამდვილობისა და მისი შესრულების მიმართ ერთგვაროვანია და გამომდინარეობს კერძო სამართლის ზოგადი საფუძვლებიდან. განსხვავებულია მხოლოდ მხარეთა უფლება-მოვალეობანი. მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, მეწარმეთა კეთილსინდისიერად და გულისხმიერად მოქმედების ვალდებულება დამატებითი იმპერატიული ნორმებითაა უზრუნველყოფილი.[143]

---

[142] იქვე.

[143] Daunel-Lieb, B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley? New Features in Contract Law, Schulze, R. ed., Sellier, European Law Publishers, München 2007, 107-117; Schmidt, W-A., Priess, M., Germany, Spindler, G., Borner, F., დასახ. ნაშრომი, 24-ე სქ., 181; Wang, F.F., დასახ. ნაშრომი, მე-9 სქ., 14.

4. 1 დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების რეგულირება ევროპის სახელშეკრულებო სამართალში

ელექტრონულ ვაჭრობის სფეროში მოქმედ დირექტივებს შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ორი ევროპული დირექტივა: დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ და დირექტივა 2000/31 ელექტრონული ვაჭრობის შესახებ. 97/7/EC დირექტივა თავისი თავდაპირველი დანიშნულებით არ იყო ორიენტირებული ელექტრონულ კომერციაზე. 1997 წელს ონლაინ კონტრაქტების დადების საშუალებები ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული. იმ დროისათვის დისტანციურ ხელშეკრულებებში, ძირითადად, ტელემარკეტინგისა და კატალოგის მეშვეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მოიაზრებოდა. დისტანციური ვაჭრობა, თანამედროვე ფორმებითა და შინაარსით, საერთოდ არ არსებობდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილდა ჯერ დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებზე, შემდგომ კი, ელექტრონულ ვაჭრობაზე. საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების ხელშეწყობა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებისა და საერთო ევროპული ბაზრის განვითარებას.[144] დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა მომხმარებელთა აქტიური ჩართულობის გარეშე ისევე, როგორც ამ ტიპის სავაჭრო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარეშე; ამიტომაც ევროპელი კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მომხმარებელთა უფლებების მიმართ დისტანციურად დადებულ ტრანზაქციებში. თანამედროვე გამოწვევის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ახალი რეგულაციების შემუშავება. შედეგად, ევროპული კავშირის ფარგლებში მომხმარებელთა დაცვის უნიფიცირებისა და გამარტივების მიზნით, მიღებულ იქნა 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რომელმაც დაამკვიდრა ერთიანი კონცეფცია დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში

[144] Macsim, A.R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online Contracts, <http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf>, [02.05.2014]

მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად. [145] დირექტივით განიმარტა, თუ რა ტიპის ხელშეკრულებები ჩაითვლება დისტანციურად დადებულად. მისათვის, რომ მომხმარებელმა ისარგებლოს უარყოფის უფლებით, ხელშეკრულება უნდა დაიდოს დისტანციური კომუნიკაციის წესების გამოყენებით. დისტანციურ კომუნიკაციაში იგულისხმება ხელშეკრულების დადებაზე წინადადების შეთავაზება, ისევე, როგორც ამ შეთავაზების მიღება და არსებით პირობებზე შეთანხმება ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა დისტანციური კომუნიკაციის მეთოდის გამოყენებით.[146] ელექტრონული ვაჭრობის მასშტაბებმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა იქონია მომსახურებისა და საქონლის მოთხოვნისა და მოწოდების ფორმატზეც. ნივთების მოძრავად და უძრავად ტრადიციული კლასიფიკაციის გვერდზე, ჩნდება ისეთი „საქონელი", რომელიც თავისი შინაარსით, არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება. საუბარია ციფრული შიგთავსის მქონე მატერიალურ სიკეთეებზე, რომლებიც ყოველდღიურად

სხვადასხვა ხელშეკრულების საგნად გვევლინება და ინტელექტუალურ

საკუთრებად ითვლება აქ იგულისხმება ისეთი სახის ე.წ. „ონლაინ" გარიგებები,

რომელთა არა მხოლოდ დადება, არამედ შესრულებაც ელექტრონული ფორმით

ხდება. მაგალითად, ელექტრონული პროგრამის შეკვეთა ინტერნეტით, როდესაც მისი მიწოდება ხდება ვებ-გვერდიდან ელექტრონული პროგრამის ჩამოტვირთვით ან ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფორმატით და ა.შ.[147] მომხმარებელთა უფლებების შესახებ 2011/83/EU დირექტივაში

---

[145] Luzak, J., Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, No. 3, 2014, <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract _id=2487222##>, [21.01.2015], 2.

[146] *Fina S.,* The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in
European Distance Selling and E-Commerce, in Festschrift Franz Zehetner, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds. 2009, 31.

[147] *Loos M., Helberger N., Guibaut L., Pessers L.,* Digital Content Contracts for Consumers, Amsterdam Law
School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working
Paper Series No.2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, 3; *Loos M.,* The Regulation of

ციფრული შიგთავსის საქონელი განიმარტა, როგორც „მონაცემები, რომელთა წარმოება და მიწოდება ხორციელდება ისეთ ციფრულ ფორმატში, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამა, განაცხადის ფორმები, თამაშები, მუსიკა, ვიდეო ან ტექსტი, იმის მიუხედავად, ისინი ხელმისაწვდომია ჩამოტვირთვის, თუ პირდაპირი გამოყენების გზით მატერიალური (სხეულებრივი) მატარებლიდან ან სხვა წყაროდან". იმ შემთხვევაში კი, როდესაც ციფრული შიგთავსის საქონლის მიწოდება ხდება სხვეულებრივი მატარებლიდან, როგორიცაა ვთქვათ, CD/DVD დისკები ანდა, USB მატარებელი, იგი, ჩვეულებრივ, მოძრავ ნივთად განიხილება.[148] ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა აძლევს მომხმარებელს დამატებით სტიმულს ჩაებას დისტანციურ ვაჭრობაში და მინიმუმადე დაიყვანოს მასთან ის რისკები რაც შორ მანძილზე დადებულ ხელშეკრულებებს ახლავს თან.

4.2 საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომა მომხმარებელთა უფლებების დაცვისას

4.2.1. UNIDROIT[149]

არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც სამართლის „დაახლოების" პროცესს მიმართულებას აძლევენ და დიდწილად განაპირობებენ კიდეც ამ პროცესს. ასეთია
საერთაშორისო ორგანიზაცია UNIDROIT, რომელიც ერთიანი კერძოსამართლებრივი
კანონმდებლობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს და ამ მიზნით საერთო პრინციპებს, ჩარჩო ხელშეკრულებებს, კანონის მოდელებსა და ერთიანი სამართლებრივი

Digital
Content B2C Contracts in CESL, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2013-60, Centre
for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2013-10, University van Amsterdam, The
Netherlands, 1-2; erqvania T., momxmarebelTa uflebebis dacvis evropuli standartebi
eleqtronuli vaWrobis sferoSi da qarTuli kanonmdebloba, Jurnali
`marTlmsajuleba da kanoni~, #3(30), 2011, 49.

[148] Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011,< http://eurlex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083>.

[149] კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი.

ბაზის
ჩამოყალიბებისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს შეიმუშავებს.[150] UNIDROIT-მა შეიმუშავა საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპები (Principles of International Commercial Contracts), რომელთა ძირითადი დანიშნულებაა
საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობათა სამართლებრივი საკითხების გამარტივება და საერთაშორისო სავაჭრო სამართალში არსებული მრავალი უზუსტობის გამოსწორება.

როდესაც ორი მხარე სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოადგენს და ხელშეკრულების
დადებას აპირებს, მათ შეიძლება გაუჭირდეთ შეთანხმება განსხვავებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ტერმინოლოგიის გამო. ერთმა მხარემ შეიძლება სრული მოცულობით ვერ შეაფასოს მეორე მხარისათვის ამ ტერმინოლოგიის მნიშვნელობა, ხოლო UNIDROIT-ის ნეიტრალური ტერმინებისა და განსაზღვრებების გამოყენებით მხარეები გაცილებით ადვილად მიაღწევენ კონსენსუსს. ამ მხრივ, UNIDROIT, თავისი ბუნებით, რაღაც საერთაშორისო ენის მსგავსი, ყველასათვის თანაბრად განსაზღვრული საერთაშორისო დოკუმენტია.[151] UNIDROIT სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა ეს არ უკრძალავს მხარეებს ის ხელშეკრულების ნაწილი გახადონ.

4.2.2. Principles of European Contract Law (PECL)[152]

საერთო სახელშეკრულებო ფორმისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინების კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს PECL - აღნიშნული ითვალისწინებს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებულ თავისებურებებს, რომლებიც დახვეწილი სამართლებრივი კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინების ჭრილში მნიშვნელოვანია აისახოს შიდა სამართლებრივ საკანონმდებლო ბაზაში. ამით PECL ევროპის სასამართლოებისთვის
ფასეულ წყაროდ გვევლინება, რასაც ევროპის სასამართლოს მიერ

[150] იქვე. გვ. 13.
[151] მათიაშილი ზ., UNIDROIT - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, ალმანახი №15 საერთაშორისო სამართალი (III), 2000, გვ. 13
[152] ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები.

გადაწყვეტილებებში მისი ხშირი მითითებაც უსვამს ხაზს.[153]მიუხედავად ამისა, PECL არ არის კერძო სამართლის წყარო ფორმალური გაგებით. საინტერესოა, რომ PECL რიგ საკითხებს ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებულად აწესრიგებს, მაგ.: არათანმყოფ პირთა შორის გამოვლენილი ნება, ხელშეკრულების დადების საკითხი, ოფერტზე მოწვევის განსხვავებული წესი და სხვ.[154]

4.2.3 Organization for Economic Cooperation and Development (OECD)[155]

OECD თავისი სამომხმარებლო პოლიტიკის კომიტეტის მეშვეობით, კონკრეტულად
მუშაობს სამრეწველო, სამომხმარებლო და სამართალდამცავი ორგანოების მიმართულებით, იმ მიზნით რომ ჩამოაყალიბოს პრინციპები და პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს მომხარებელთა დაცვას ელექტრონულ სივრცეში. OECD ასევე იცავს მომხმარებლებს უკანონო და გაყალბებული სავაჭრო გარიგებების დადების კუთხითაც. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: 1. 1999 წლის 9 დეკემბერის სახელმძღვანელო პრინციპები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ელექტრონულ ვაჭრობაში (Guidelines on Consumer Protection in the Context o f Electronic Commerce) და 2. 2003 წლის 11 ივნისის სახელმძღვანელო პრინციპები თაღლითური და ყალბი საზღვრისმიღმა სავაჭრო პრაქტიკისგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ.[156]

4.2.4 European Commission (EC)[157]

2000 წელს EC გაუშვა პროგრამა სახელად „ელექტორნული კონფიდენციალურობის
ინიციატვია“ (E-Confidence Initiative), რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივი ძალისხმევით ბიზნესს, მომხმარებელსა და სახელმწიფოს შორის შემუშავებულიყო შეთანხმება საერთო მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობდა მომხმარებლის ელექტრონული კონფიდენციალურობის ხარისხის გაზრდას ევროპის

---

[153] კობახიძე ი., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, 2015, გვ 2.

[154] ბზეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 2014, გვ. 14.

[155] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

[156] სოფრომაძე.,ა ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება 2018. გვ. 45

[157] ევროპული კომისია.

კონტინენტზე. EC-მა ევროპელ მომხმარებელთა ცენტრების ქსელის[158]მეშვეობით 2004 წლის 8 ნოემბერს შეიმუშავა ელექტრონულ ვაჭრობაში მომხმარებელთა დაცვის შესახებ დოკუმენტი (Consumer Confidence in E-Commerce: lessons learned from the econfidence initiative).

VI დასკვნა:

როგორც თანამედროვეობის საინფორმაციო ტექნოლოგიების უმსხვილესი კომპანიის Cisco Systems Inc..-ის პრეზიდენტი ჯონ ჩემბერსი აღნიშნავს, სოციალური კავშირების ასეთი რევოლუცია `თავისი შედეგების მასშტაბით, სავარაუდოდ, გადააჭარბებს სამრეწველო რევოლუციას, ის ათანაბრებს პირობებს და ქმნის უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქვეყნების, კომპანიებისა და კერძო პირთათვის მთელ მსოფლიოში. მისი რეზულტატია ისეთი ეკონომიკა, რომელშიც წარმატებისა და გადარჩენის ძირითადი ფაქტორი უკვე არა სიდიდე, გეოგრაფიული მდებარეობა ან მატერიალური რესურსებია, არამედ რეაქციის სისწრაფე და ცვალებადობის უნარი~.[159]

ნაშრომის განხილვისას გამოიკვეთა თუ რაოდენ მნიშნელოვანი ადგილი უკავია ელ ხელშეკრულებებს თანამედროვე ვაჭრობაში . ამ მხრივ კი აუცილებელია საქართველოში საბაზრო-ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობების წარმატებით განხორციელებისათვის თავისუფალი სამეწარმეო გარემო და ელექტრონულ ბიზნესში ჩართული კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურები. საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთიანი საკანონმდებლო სტრატეგიის შემუშავება და მის შესაბამისად ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული ხელმოწერის საკითხების საკანონმდებლო წესით რეგლამენტაცია. აღნიშნული შესაძლებელია

[158] ქსელი აერთიანებს 15 ევროპულ ცენტრს, რომელიც 13 წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს. იხ. https://ec.europa.eu/info/departments/justice-and-consumers_en [07.07.18]

[159] *Patel/McCarthy*, Digital Transformation, The Essentials of E-business Leadership, N.Y. (McGraw-Hill), 2000, 6.

ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საკანონმდებლო აქტების სინქრონულად მიღებით.[160]

როგორც ნაშრომის ჩანს , ქართულ იურიდიული ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება ელექტრონული ხელშეკრულებების მარტივ წერილობით ფორმასთან გათანაბრების თაობაზე , მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ი არ იცნობს გარიგების ტექსტურ ფორმას ის არ აბრკოლებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება ჩაერთონ ელექტრონულ ვაჭრობაში და დადონ ელექტრონული გარიგებები ელ-ფოსტისა თუ ვებ-გვერდების მეშვეობით. შესაბამისად, ამ მიმართულებით სსკ არ განიცდის რეგულირების ნაკლოვანებას და მეტიც პასუხობს 21-ე საკუნის ელექტრონული ვაჭრობის გამოწვევებს.[161] თუმცა ელექტრონული გარიგების დადება ტექსტური ფორმის გვერდის ავლით სულაც არ ნიშნავს, რომ გარიგების ეს ფორმა ნაკლებად არის სარგებლის მომტანი სამოქალაქო ურთიერთობაში. ეს ასე ნამდვილად არ არის. ტექსტური ფორმა ასრულებს რა ინფორმირება-დოკუმენტირების ფუნქციებს ეკონომიურობისა და სისწრაფის პრინციპების დაცვით მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელ სამოქალაქო ბრუნვაში, ვიანიდან, სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ამოიწურება ხელშეკრულების დადებით. ხშირად მხარეები ხელშეკრულების ფარგლებში ერთმანეთს ხელშეკრულებისათვის ნაკლებად თუ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიან, მაგ. სარეკლამო განთავსების გენერალური ხელშეკრულებით დადგენილია, რომ განთავსების სასურველ პარამეტრებს დამკვეთი აცნობებს შემსრულებელს წერილობით, ან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო პროგრამაში კომპანია დამატებით რთავს ახალ თანამშრომელს წერილობითი ფორმით, კომპანია კლიენტს უცვლის აგენტს და ამის შესახებ აცნობებს ცლიენტს წერილობით, ან ხელშეკრულების მხარე იცვლის რეკვიზიტებს და აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ წერილობითი ფორმით. ყველა ამ შემთხვევაში წერილობითი ფორმის გამოყენება დროისა და ფინანსების დანაკარგია, მაშინ როდესაც იგივე მიზანს უფრო მარტივად ნაკლბ დროსა და ნაკლები ხარჯით შეასრულებდა ტექსტური ფორმა, ზემოთაღნიშნული ცნობების ელ-ფოსტით, ფაქსით თუ კომპიუტერული ფაქსით გაგზავნით. შესაბამისად,

[160] თ. ზამბახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა 8/2005-1/2, გვ 136

[161] ბუაძე ქ, ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში, 2016, გვ 21.

სასურველი იქნებოდა ტექსტური ფორმის გათვალისწინება სსკ-ის გარიგებების ფორმის თავში, ისევე როგორც ეს არის რეგულირებული გსკ-ის §126ბ-თი. [162]

ნაშრომიდან ასევე გამოიკვეთა რომ , მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო საფუძველი საქართველოში არ არსებობს 2012 წლის 8 მაისის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი[163]. ამდენად, გარდა სამოქალაქო კოდექსის 342-348 მუხლებისა, რომელიც ეხება ხელშეკრულების სტანდარტული პირობებს, არ არსებობს მოხმარებელთა დაცვის სპეციალური ნორმები. [164] აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა არსებობდეს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ნორმები, რომელიც უნდა შეიცავდეს ინტერნეტით დადებული ხელშეკრულებების სუსტი და ძლიერი მხარის უფლება-მოვალეობებს, ინფორმირმაციის სათანადო წესით მიწოდების ვალდებულებას, დისტანციური ხელშეკრულების დადების და შესრულების სპეციალურ ნორმებს.

---

[162] ბუაძე ქ, ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში, 2016, გვ 21.

[163] საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №615 7

[164] იხ. *ტაბატაძე დ.*, გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღ-ვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, სიფა, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოცი-აციის ჟურნალი №1, შპს ,,ბიარტი'', თბილისი, 2016, გვ 86.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

ბუაძე ქეთევან, ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში, 2012. http://library.court.ge/upload/4152016-07-05.pdf

სოფრომაძე ავთანდილ, ვებგვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება,2018.

ტაბატაძე დავით, გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, საქართველოს იურიდიული ფირმების
ასოციაციის ჟურნალი N1, თბილისი, 2015.

ერქვანია თინათინ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები
ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, მართლმსაჯულება
და კანონი, N3(30)11, თბილისი, 2011.

თამარ ზამბახიძე, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა №8/2005-1/2, თბილისი, 2005.

თამარ ლაკერბაია, ვახტანგ ზაალიშვილი, თამარ ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, IBSU , თბილისი, 2018.

ლაკერბაია თამარ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ჭანტურია ლ. (მთავარი სამეცნიერო რედ.), თბილისი, 2017.

ჯორბენაძე სერგი, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი,
2017.

ნუკრი ჯინჭარაძე, შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებისას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროკავშირის 97/7 დირექტივის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2016.

ქეთევან მეფარიშვილი, ლუკა კარდენახიშვილი ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა – ტექნოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2016.

სოკოლოვსკი ირაკლი, ელექტონული ხელმოწერა ქართული სამართლის პერსპექტივაში, გამომცემლობა მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური, 2009.

ანდღულაძე ქეთევან,ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და დებული ხელშეკრულება,სამართლის ჟურნალი 2014(1).

უცხოენოვანი ლიტერატურა

Avery Wiener Katz , Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age.

Faye Fangfei Wang, Law of Electronic Commercial Transactions. 2010. http://www.droitetentreprise.com/wpcontent/uploads/Law_of_electronic_commercial_transactions.pdf

Benita Exeigbo, E-contracts. Essential, variety and legal issues. 2017.

სასამართლო გადაწყვეტილებები

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე JaouadElMajdoub v. CarsOnTheWeb.DeutschlandGmbH,

აშშ-ის კალიფორნიის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 ოქტმობრის გადაწყვეტილება No. CIV-F-00-5671 REC SMS საქმეზე Pollstar, (Plaintiff), v. Gigmania Ltd., (Defendant).

აშშ-ის საოლქო სააპელაციო სასამართლოს (7th Cir.) 1996 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: ProCD, Inc. v. Matthew Zeidenberg and Silken Mountain Web Services, Inc.

აშშ-ის კალიფორნიის საოლქო სასამართლოს 1998 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება No. C-98 JW PVT ENE, C 98-20064 JW საქმეზე: Hotmail Corporation, (Plaintiff), v. Van Money Pie Inc., ALS Enterprises, Inc.; LCGM, Inc.

ნორმატიული მასალა და სხვა სამართლებრივი აქტები

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი.
„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - Bürgerliches Gesetzbuch.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

UNCITRAL-ის 2001 წლის მოდალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ - UNCITRAL Model Law on Electronic Signatures.
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ - United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG).
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის რეგულაცია N593/2008 (რომი I) – Regulation (EC) No 593/2008 of 17 June 2008 On the Law Applicable to Contractual Obligations

(Rome I).
ევროპული კავშირის 2000 წლის 08 ივნისის დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის
შესახებ“ - EU Directive 2000/31 of 8 June 2000 On Electronic Commerce.
ევროპული კავშირის 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2011/83 „მომხმარებლის
უფლებების შესახებ“ – EU Directive 2011/83 of 25 October 2011 On Consumer Rights.
ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები – The Principles of European
Contract Law.

ინტერნეტ რესურსები:

www.library.court.ge

www.gccc.ge